საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 22 მარტი, 2013 წელი.

№53 (7180)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჯორებით ბურთის გაფანა ყვეფა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„კენჭის გავლა“ პარლამენტში,

ანუ კოჰაბიტაციის პირველი შემთხვევა

ნაცებმა ბევრი იანცეს, არ ეწადათ პრეზიდენტზე ჩოხასავით მორგებულ კონსტიტუციაში ცვლილებებისთვის მხარდაჭერა, მაგრამ იმის შიშით და გათვალისწინებით, რომ საარჩევნო კენჭი ვაითუ პოლიტიკური სამარის ქვად ჰქცეოდათ, ნაცთათვის სასურველი სარეიტინგო კენჭისყრის შემდეგ (მომხრე – 93), გაიძულებულნი ბოლოს მაინც საჭირო რაოდენობით შეუერთდნენ უმრავლესობას 135:0 (და რაოდენ დასანანი იყო ასეთი ნანატრი ერთსულოვნების შემდეგ მიხეილ სააკაშვილის საოცრად დისონანსური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ანტიკოჰაბიტაციური სატელევიზიო ეპილოგი).

რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა თვით საქართველოს ინტერესებშია! ③

④ დაიბრუნებს ფოთი „აბრეშუმის გზის“ ფორპოსტის ფუნქციას?

განძეულს რურუა იპარავდა, სააკაშვილისთვის სრა-სახლში მიჰქონდა ⑦

ბატონო გიგი, მართლა დაიხარჯა 367 მილიონ ლარზე მეტი თბილისის ძველი უბნების რეაბილიტაციაზე? ②

ბატონო ბიძინა, ჩვენთან ერთად საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოტყუებასაც ცდილობენ ⑥

◎ წინ, საქართველო!

გმადლობთ, გენო!



გუშინ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნულ ნაკრებს მესამე მედალი 18 წლის **გენო პეტრიაშვილმა** მოუტანა (120 კგ).

მან საკუთარი ამბიციების საფუძვლიანობა მაშინ დაადასტურა, როცა ქვეყნის მთავარ გუნდში ლონდონის ოლიმპიადის ფინალისტის დავით მოძმანაშვილის ნაცვლად დამკვიდრდა, თბილისის სპორტის სასახლეში კი უფროსთა შორის საერთაშორისო სარბიელზე საბრძოლო ნათლობა ჭაბუკმა ფალავანმა საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასვლით აღნიშნა.

დავძენთ, რომ „ბრინჯაოსთვის“ გამართული დასკვნითი შერკინება ჩვენმა თანამემამულემ აშკარა უპირატესობით მოუგო გერმანელ ნიკ მატუშინს – 4:2, 5:0.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პრემიერ-მინისტრი

აღორძინება იწყება!

საძართველოს **პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გუშინ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარისში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. მოსახლეობის წარმომადგენლებმა პრემიერ-მინისტრს არსებული პრობლემები გააცნეს. მათი თქმით, სოფელს არა აქვს ბუნებრივი აირი და შესაკეთებელია სოფლის გზა, არ არის ნორმალური სკოლა.**

ბიძინა ივანიშვილთან ერთად თამარისში იმყოფებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი, რომლის თქმითაც, ხვალვე ჩავლენ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები სოფელ თამარისში და დაიწყება ნორმალური სკოლის მშენებლობა.

თამარისში ყოფნისას პრემიერ-მინისტრი სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით კირვალიძესთან ერთად, სოფელში მიმდინარე სასოფლო სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, არ მოსწონს ასეთი საჩვენებელი გამოსვლები, მაგრამ რაც სოფელ თამარისში ხდება, არ არის უპრეცედენტო – მთელ საქართველოში იხვნება მიწის ნაკვეთები და სუფთავდება სარწყავი არხები.

– ჩვენ ვიწყებთ და ვაკეთებთ იმას, რასაც დავპირდით მოსახლეობას, ვაკეთებთ იმაზე მეტსაც. ვიწყებთ იმით, რომ უნდა აღორძინდეს სოფლის მეურნეობა და გლეხს საშუალება ჰქონდეს, ღირსეულად იცხოვროს საკუთარ სოფელში. კარგად იცით, რომ ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი. გარწმუნებთ, რაც უფრო დრო გავა, მით უფრო აღორძინდება საქართველო. საქართველოში იწყება ჭეშმარიტად აღორძინების პროცესი, დავიწყებთ სოფლით, ეს გადავა ქალაქებში და გაგრძელდება, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

სოფელ თამარისის შემდეგ პრემიერ-მინისტრი მარნეულში ჩავიდა, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანლები „ნოვრუზ ბაირამის“ – გაზაფხულის დღესასწაულს აღნიშნავენ. პრემიერმა სიმბოლური კოცონი დაანთო, რომელიც დღესასწაულზე ყოველთვის ინთება.

◎ დოკუმენტი

საით წაგვიყვანს სტრატეგიული განვითარების ლიანდაგი?

მთავრობა ეკონომიკის განვითარების გეგმაზე მუშაობს – ქვეყნის სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტის შემუშავება დაწყებულია. ეკონომიკური გუნდი მრჩეველთა საბჭოს შეხვდა და 26 ექსპერტთან ერთად მთავარი მიმართულებები განიხილა. მთავრობა აცხადებს, რომ უკვე არსებობს 2 მთავარი საბაზისო დოკუმენტი, რომელიც სტრატეგიას საფუძვლად დაედება. ეს არის „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამა და მთავრობის სტრატეგია.

ქვეყნის სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტის შედგენაზე მუშაობა ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დაავალა. ამიტომაც გუშინ ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭოს წევრებს შეხვდნენ.

გადაწყდა, რომ მუშაობის პროცესში ჩაერთვება ყველა სამინისტრო, აგრეთვე ექსპერტები, სამოქალაქო სექტორი, რათა ქვეყნის სტრატეგიის ამსახველ საბოლოო ვარიანტში გათვალისწინებული იყოს ყველა დაინტერესებული მხარის წინადადებები და მოსაზრებები.

შეხვედრაზე ფინანსთა სამინისტრომ მრჩეველთა საბჭოს გააცნო საქართველოს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავებისთვის საჭირო რეკომენდაციები, ასევე განიხილეს ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭოს წევრების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებები.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა აღნიშნა, დოკუმენტში განსაზღვრული იქნება პრიორიტეტები და ის ფინანსური რესურსები, რომელიც ეკონომიკაში დასახული მიზნების მისაღწევად უნდა იქნეს გამოყოფილი.

ეკონომიკის მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის აზრით, პირველ რიგში, დოკუმენტში უნდა ჩამოყალიბდეს, რა ტიპის ქვეყანა გვინდა, სად გვაქვს კონკურენტული უპირატესობები, რა მიმართულებებზე უნდა მოვახდინოთ რესურსების მობილიზება.

„ეს იყო პირველი შეხვედრა, რომელზეც ჩამოვყალიბდით მუშაობის ფორმატზე. ჩვენი მიზანია, შეიქმნას ზეპარტიული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიას“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მინისტრებთან შეხვედრას 30-მდე ექსპერტი ესწრებოდა. როგორც ექსპერტმა ლადო პაპავამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მათ გასცეს კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორი სტრუქტურის უნდა იყოს დოკუმენტი, რა ვადაზე უნდა იქნეს გათვლილი და რა უნდა მოიცვას.

მრჩეველთა საბჭოს ერთ-ერთი წევრის, ექსპერტ სოსო ცისკარიშვილის, განმარტებით, დოკუმენტი საკმაოდ ამბიციურია და მისი შემუშავება სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს. მისი თქმით, დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი ერთი შეხვედრით ვერ ჩამოყალიბდება, თუმცა ჭეშმარიტება სწორედ აზრთა სხვადასხვაობისას იბადება.

დოკუმენტი შემდეგ ძირითად საკითხებს მოიცავს: დასაქმების ხელშეწყობა, შრომითი ბაზრის შეფასება და მიგრაციის პროცესების მოგვარება. საბჭოს წევრებს მიაჩნიათ, რომ თითოეული დარგის მიმართ კონკრეტული მიდგომები უნდა გამოიკვეთოს, რათა მთლიანობაში ამან ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის წარმატებული მიმართულება განსაზღვროს.

გიორგი ბექაური

◎ ერიჰა!

მერიას მისამართი შეეშალა?!

ბატონო გიგი, მართლა დაინახარჯა 367 მილიონ ლარზე მეტი თბილისის ძველი უბნების რეაბილიტაციაზე?

„საძართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „ თბილისის მერს გიგი უგულავას ღია წერილით მიმართავს.

საია უგულავას თხოვს თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ორი იურიდიული პირის – ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა „ და ააიპ „თბილისის განვითარების ფონდისთვის „2005 წლიდან – 2011 წლის 5 ივლისამდე, ჯამში 367 მილიონ ლარზე მეტი გადარიცხული თანხის ხარჯვის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს, რომელიც ორგანიზაციის ინფორმაციითვე, 11 თებერვალს მერიაში წარდგენილი განცხადებით გამოითხოვა, თუმცა უშედეგოდ.

– „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ მიმდინარე წლის 11 თებერვალს თბილისის მერიაში წარადგინა განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. განცხადების მიხედვით, საია ითხოვდა ინფორმაციას თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ორი იურიდიული პირისთვის - ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა „ და ააიპ „თბილისის განვითარების ფონდისთვის“, 2005 წლიდან - 2011 წლის 5 ივლისამდე ჯამში 367 მილიონ ლარზე მეტი გადარიცხული თანხის ხარჯვის თაობაზე. კერძოდ, თბილისის მერიას უნდა გაეცა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ: **1. რა ოდენობის თანხა გაიხარჯა – ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა და თბილისის განვითარების ფონდის მიერ, ქ. თბილისში აღდგენილ და რეაბილიტირებულ თითოეულ ობიექტზე ცალ-ცალკე; 2. უშუალოდ რომელი კომპანიები ასრულებდნენ სამუშაოებს ფონდების მიერ აღდგენილ და რეაბილიტირებულ თითოეულ ობიექტზე ცალ-ცალკე; 3. ვის მიერ და რა ფორმით ხდებოდა, თითოეული ობიექტის აღდგენა და რეაბილიტირების მიზნით შემსრულებელი კომპანიების შერჩევა.**

აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით, თბილისის მერიამ წარმოადგინა კორესპონდენცია, რომლის მიხედვითაც თბილისის მერიის პოზიციით, მოთხოვნილი ინფორმაციის მიღების მიზნით, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას – ააიპ თბილისის განვითარების ფონდისთვის უნდა მიემართა შემდეგ მისამართზე: - თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №65, ოფისი №1.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მერია უშუალოდ იყო ვალდებული განცხადება თბილისის განვითარების ფონდში გადაეგზავნა, საია-მ გაითვალისწინა თბილისის მერიის „რჩევა“ და 2013 წლის 11 მარტს მართლაც მიმართა წერილობით თბილისის განვითარების ფონდს და საფოსტო გზავნილი მერიის მიერ მითითებულ მისამართზე (თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №65, ოფისი №1) გაგზავნა. **თუმცა, მიმდინარე წლის 12 მარტს საფოსტო გზავნილი უკან იქნა დაბრუნებული იმ მოტივით, რომ ადრესატი მითითებულ მისამართზე არ ირიცხებოდა.**

მიგვაჩნია, რომ იმ ფონზე, როდესაც საუბარია კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თბილისის ბიუჯეტიდან გადარიცხული ასეულობით მილიონი ლარის გაუმჭვირვალედ ხარჯვაზე და საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია ფონდების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, თბილისის მერიაში წარდგენილი ანგარიშები (მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშების გაცემის ვალდებულება თბილისის მერიას სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით აქვს დაკისრებული), მერიის მიერ თბილისის განვითარების ფონდის მისამართის არასწორი მითითება, მიუღებელია და კიდევ უფრო მეტ კითხვას ბადებს ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

შესაბამისად, გთხოვთ, თავად უზრუნველყოთ, ერთი მხრივ, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ მიმდინარე წლის 11 თებერვალს თბილისის მერიაში წარმოდგენილი განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა, ხოლო, მეორე მხრივ, მოგვაწოდოთ ააიპ თბილისის განვითარების ფონდის ის მისამართი, სადაც ფაქტობრივად არის ფონდი განთავსებული, – ნათქვამია საია-ს მიმართვაში.

ინტერპრესი

◎ ინტერნეტიდან

წერტილოვანი ფრაზები

ოლონდ **რეიტინგული კენჭისყრის საკითხი გადაწყდეს და დასაქმება, პენსიები, ტარიფები წყალსაც წაუღია. მიდით, ჩვენო რჩეულნო! 1 ოქტომბერს თქვენთვის რომ არ მოგვეცა ხმა, ხომ ვერ გავიგებდით რეიტინგული კენჭისყრის ამბავს.**

გაზის და დენის ქვითრებზე სანამ ვენეციის კომისიის პრეზიდენტის ხელმოწერა არ იქნება, რომ არ გადავიხადო, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ხომ არ გამიჯავრდებიან?

„კიკალიშვილი გამოჩნდა „რუსთავი 2“-ზე, დონაძე დაბრუნდა, შაშკინი ხო დაბრუნდა და დაბრუნდა, ბენდუ ბლატაობს, „იმედის“ შოუებში ხან სადუნიშვილია სტუმრად და ხან კვიტაშვილი. გრიგოლია საზმაუზე გადაცემას აკეთებს (კვესიტაძეზე, პაიჭაძეზე და სხვა „სამოთხის ვაშლებზე“ აღარაფერს ვამბობ), კბილაშვილმა – გუნავას კი ჰქონდა ნარკოტიკი და იარაღი, მარა ვერ ვიჭერთო. მოსამართლემ, რომელმაც 14 წლის ბავშვს 10 წელი მიუსაჯა, „მართალი ვარო“, დ.ა.შ

ერთი შარშანდელი კალენდარი უნდა ვნახო ოქტომბრის თვე იყო?

„გლდანის ციხესთან საპროტესტო აქციის მსვლელობისას იქ მყოფი ქურთი ეროვნების მეეზოვე ქალბატონები, თუთბერიძეს და მის მეგობრებს ცოცხებით გამოედევნენ, ტერიტორია ძალის გამოყენებით დაატოვებინეს“ „რაო ამ ზეწოლაზე ევროპის სახალხო პარტიამ? ამერიკელი სენატორები შეშფოთდნენ? ვენეციის კომისიამ დასკვნა თუ დადო? გამაგებინეთ, თორემ გამისკდა ეს პატარა გული“.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – არადა გუშინ ვნახე, იცინოდნენ.

ისეთი საშინელი გრიპი მაქვს, ახლა მარტო საკონსტიტუციო ცვლილება თუ დამედება მალამოდ.

რა სასიამოვნოდ იცვლება ტერმინები: ადრე – რას გვიშვება სააკაშვილი! ახლა – რას უშვებიან სააკაშვილს! მემრე – ეჰ საკაშვილი სააკაშვილი.

ზემო იმერეთს მოუთხოვია, რეგიონალური აქცენტის სტატუსი გვინდა აქანაო.

პოლიტიკასთან დაკავშირებულ პირებს დასავლეთში დიდად არ სიამოვნებთ, როდესაც ქართველები სააკაშვილის ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულზე ესაუბრებიან, იმის გამო, რომ წლების განმავლობაში მისი პარტნიორები იყვნენ და, საერთოდ, ეს პრობლემატიკა მათთვის ნაკლებად აქტუალურია. სამართლიანობის აღდგენა საქართველოში მათთვის არანაირ ხელშესახებ ამონაგებს არ უკავშირდება, პირიქით, შეიძლება გარკვეული საიმიჯო დანაკარგები მოუტანოს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მთავარი აქცენტი გაკეთდება სააკაშვილის ჯგუფის დამაჯერებელ წარმოჩენაზე ისეთ ფაქტორად, რომელმაც შეიძლება მომავალში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, რაც დასავლელი პარტნიორების პოზიციებს საქართველოში დიდ პრობლემებს შეუქმნის, ისინი ამ საფრთხის ნეიტრალიზაციას, სავარაუდოდ, მხარს დაუჭერენ და ხელსაც შეუწყობენ.

„დღეს გრიგოლ ვაშაძეს, სააკაშვილის ხელისუფლების სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებთან ერთად, აქვს სრული შესაძლებლობა, ჩაიხედოს სარკეში და ნახოს, რა ემართება ადამიანებს, რომლებსაც არ აინტერესებთ, რას ამბობს აშშ-ის ეროვნული დაზვერვის შეფი (ექსპერტებზე, ლიფტიორებსა და ქართველ ხალხზე რომ არაფერი ვთქვათ)“.

გია გაბრიჭიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოლემიკა

რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა თვით საქართველოს ინტერესებშია!

გიორგი ახვლედიანის ერთი ინტერვიუს შესახებ

გამოთქმა „ღმერთო, მიხსენ მეგობრებისაგან, მტრებს მე თვითონ გავუსწორდები“ შესანიშნავად გამოდგება ბ-ნ გიორგი ახვლედიანის მიერ ინტერვიუში ჩამოყალიბებული აზრების შესაფასებლად (გაზ. „რეზონანსი“, 2013 წლის 1-ლი თებერვალი).

ყველა ადამიანს აქვს უფლება, გამოთქვას აზრი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, ვერავის აუკრძალავ ამ უფლებას. თუმცა, სამართლიანი იქნება მკითხველების თხოვნა (შეიძლება ითქვას მოთხოვნაც), რომ გაზეთში გამოქვეყნებული მასალა ობიექტური აზრის ნაყოფი იყოს და ანალიზის შედეგიც, რათა ნაკლებად აერიოს ტვინი ისედაც სტრესულ მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებას.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით გ. ახვლედიანის ზემოაღნიშნულ ინტერვიუზე.

მე არ შევუდგები ამ ინტერვიუს მთლიანად შეფასებას და ანალიზს – საამისოდ არც დრო მაქვს და არც სურვილი. ჩემი აღშფოთება (რამაც განაპირობა ეს სტატია) გამოიწვია მისმა „ბრძნულმა“ გამოთქმებმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე და იმ ადამიანების ლანძღვამ, რომლებიც მის აზრებს არ ეთანხმებიან. რაიმე რომ არ შევცვალო მის გამოთქმებში, მოვიყვან ამონარიდს მისი ინტერვიუდან: **„თუ ჩვენ გვყავს ტვინგაღუნული და მოორჯონიკიძეო ელემენტები, რომლებიც თვლიან, რომ იმ გაერთიანებას, რომელმაც ისტორიულად ქვეყნის განვითარების 200-წლიანი დამუხრუჭება გამოიწვია, ისევ უნდა დავუბრუნდეთ, ეს ადამიანები უბრალოდ დანაშაულებრივად მოაზროვნეები და ქვეყნის მტრები არიან“...**

და კიდევ: **„მსუბუქი შეფასებით“ ეს ქვეყნის ღალატია. რამდენჯერ უნდა დასაჯოს ისტორიამ ასეთი ადამიანები, რომ, ბოლოს და ბოლოს, ერმა(!) ჭკუა ისწავლოს?!** (უკვე ერს გადასწვდა ბატონი გიორგი!)

თავიდანვე ვიტყვი: **ის, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური, კარგი ურთიერთობის აღდგენა თვით საქართველოს ინტერესებში შედის და ბევრად განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მომავალ კეთილდღეობას, გაუგებარი უნდა იყოს საღად მოაზროვნე და თავისი სამშობლოს მოყვარული ადამიანისათვის?**

იმ ღონისძიებებში, რომლებიც ტარდება ამ მიმართულებით ახლანდელი მთავრობის და საქართველოს პატრიარქის მიერ, სადმე ლაპარაკია დსთ-ში შესვლაზე? რამ ააღელვა ბ-ნი გიორგი? **ნუთუ გაუგებარია, რომ რუსეთის ფაქტორის უგულებელყოფით, უაზრო და მოუქნელი პოლიტიკით დავკარგეთ აფხაზეთი და ოსეთი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას უზარმაზარი ზარალი მივაყენეთ?** განა არა ჩანს დასავლეთის მიდგომის არსი საქართველოსადმი? მარტო ის რად ღირს, რომ მათ მიანიჭეს რუსეთს მშვიდობისმყოფელის სტატუსი აფხაზეთსა და ოსეთში (ეს ხომ ნონსენსი იყო, რადგან რუსეთი დაინტერესებული/მოწინააღმდეგე მხარე იყო). აგრეთვე, მათი რეაქცია რუსეთის დანაშაულებრივ მოქმედებაზე საქართველოს მიმართ არაფერს გვეუბნება?

ახლა კონკრეტულად იმ საკითხზე, რისთვისაც ეს სტატია დავწერე.

როდესაც ბ-ნ გიორგი ლაპარაკობს ისტორიულად ქვეყნის განვითარების 200-წლიან დამუხრუჭებაზე რუსეთის მხრიდან, ნუთუ ოდნავ მაინც არ დაფიქრებულა ასეთი შეფასების სამართლიანობაზე? განა მას ელემენტარული ინფორმაციაც არ აქვს ამ საკითხის შესახებ? ამ საკითხზე უდიდესი მეცნიერები, პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები ათწლეულების განმავლობაში მსჯელობდნენ.. ნუთუ ბატონი გიორგი მათზე მეტად განსწავლულია ამ საკითხში? ილია ჭავჭავაძის აზრიც არ აქვს გაგონილი ან წაკითხული (რაც მეეჭვება) ამის შესახებ? თუ ბატონი გიორგი თანამედროვე ვაიისტორიკოსის მასხარაშვილის მიმდევარია ამ საკითხში? ყველას ფეხი კრა ბატონმა გიორგიმ, ერეკლე მეფიდან დაწყებული, ილია ჭავჭავაძით და ცნობილი ისტორიკოსებით დამთავრებული.

მას ისიც ვერ გაუგია, რომ პოლიტიკაში ასეთი დისკრეტული მიდგომა არ არსებობს. განა რუსეთთან მეზობლური ურთიერთობის გაუმჯობესება ამერიკის და დასავლეთის წინააღმდეგ არის გამიზნული? განა თვით აშშ-ს მთავრობა არ გვირჩევდა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას? თვით აშშ და დასავლეთის სახელმწიფოები აგვარებენ ამას და ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ კონფლიქტში?

თუ ძველ ცოდვებს გავუხსენებთ რუსეთის იმპერიას (რომლებიც, მართლაც, იყო), მაშინ ამ მიდგომიდან გამომდინარე, ომი უნდა გამოვუცხადოთ ირანს, თურქეთს, ჩრდილოეთ კავკასიას იმ დამანგრეველი ომებისათვის, რომლებსაც ისინი ეწეოდნენ საქართველოს წინააღმდეგ. შეიძლება ასე მსჯელობა? ბ-მა გიორგიმ ის დადებითი როლიც უარყო, რაც რუსეთთან შეერთებას მოჰყვა.

ცნობისათვის (ბ-ნი გიორგის გასაგონად):

1. თვით კომუნისტური წყობის დროსაც კი აღიარებული იყო აზრი, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვა ბოროტება იყო საქართველოსათვის, მაგრამ ყველაზე ნაკლები ბოროტება იმ ყველა შესაძლებლისაგან, რაც მაშინ ქვეყანას ელოდა. ქვეყანა დაწყნარდა და დაიწყო გამრავლება. თოფით ხელში აღარ ხნავდა მიწას ქართველი.

2. კომუნისტური წყობის დროს განვითარდა სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მეცნიერება, განათლება, ჯანდაცვა, კულტურა, ხელოვნება, შეიქმნა მრავალი ობიექტი. უფასო იყო სწავლა, მკურნალობა, საქართველოს ავტორიტეტი მსოფლიოში უზომოდ გაიზარდა.

მკითხველს შთაბეჭდილება არ დარჩეს, რომ მხოლოდ დადებითს ვამბობ იმ დროის ცხოვრებაზე და უარყოფითს ვერ ვამჩნევ. უარყოფითი და ძალიან ცუდი ბევრი იყო იმ სისტემაში, რამაც საბოლოოდ მისი კრახი გამოიწვია. აქ ლაპარაკია ობიექტური შეფასების უნარზე (ისევ „თემიდას სასწორზე“).

3. სწორედ რუსეთში განათლებამიღებული თერგდალეულები იყვნენ სამშობლოს უსაზღვრო პატრიოტები, რომლებმაც აღმართეს ნაციერონულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა და ზვარაკად შეეწირნენ ქვეყნის კეთილდღეობას, რასაც ვერ ვიტყვი (ამ მასშტაბით) ევროპაში მოღვაწე ქართველების შესახებ. აქვე მინდა, შევნიშნო, რომ თურქეთში 5 მილიონამდე ყოფილი ქართველია, რას მიაღწიეს იქ მათ! შევადაროთ რუსეთში მყოფ ქართველთა დიასპორას, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო მასშტაბითაც კი და წამყვანი თანამდებობები უჭირავთ სხვადასხვა დარგში (ლ. ბოკერია, ზ. წერეთელი, ა. რუხაძე, ზ. სოტკილავა, ქართველები კოლაიდერზე, დუბნაში, სხვადასხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში. მათი სახელები არ გაუგონია ბ-ნ გიორგის?) ვურჩევ, წაიკითხოს წიგნი მოსკოვში მოღვაწე ქართველებზე.

და ეს ყველაფერი დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოში! იქნება ბ-მა გიორგიმ ეს მიღწევები შეადაროს დამოუკიდებელ საქართველოში მიღწეულ წარმატებებს? (დაწყებული მენშევიკური მთავრობის 3-წლიანი მმართველობიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „დამოუკიდებლობის“ 20-ზე მეტი წლის განმავლობაში). ნუთუ ამის ანალიზი არ გაუკეთებია ბ-ნ გიორგის და ისე ბობოქრობს? რომელ 200-წლიან დამუხრუჭებაზეა ლაპარაკი? როდის მიიღწევა ის დონე დღევანდელ საქართველოში? უფიქრია კი ამაზე ბ-ნ გიორგის?

შეიძლება იფიქრა, მაგრამ როგორც დღევანდელი პოლიტიკოსების უმრავლესობას, ალბათ, მასაც უნდა გარკვეული ნიშა დაიკავოს დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში. ამისათვის კი მოდურია რუსეთის უარყოფა და ლანძღვა და ნატო-ს და პროდასავლური პოლიტიკის დაცვა (თუმცა, ტყუილად ირჯება, რადგან ახალმა მთავრობამ ცალსახად გამოაცხადა თავისი დადებითი დამოკიდებულება დასავლეთთან).

ბ-ნი გიორგის სხვა გამონათქვამების ანალიზს არ შევუდგები, თუმცა, პარლამენტის ადგილმდებარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით მის გამონათქვამს მაინც შევეხები. მოვიყვან მას უცვლელად: **„სჯობს კონსტიტუციაში ავამოქმედოთ შესაბამისი ნორმა და 2-პალატიანი პარლამენტი თბილისსა და ქუთაისში აბსოლუტურად(!) ლოგიკური იქნება“.**

ღმერთო, სადამდე მიდის დღევანდელი „პოლიტიკოსების“ თვითდაჯერება და თავის გამოჩენის სურვილი! აფხაზეთი და ოსეთი დაკარგულია, რა ორპალატიან პარლამენტზეა ლაპარაკი? თანაც თბილისსა და ქუთაისში. პალატებს შორის მარათონი მოვაწყოთ? ნუთუ გასაგები არ არის, რომ საჭიროა პარლამენტის სწრაფად თბილისში გადმოყვანა და აქ ფუნქციონირება. ქუთაისის განვითარებისათვის უფრო რეალური და საინტერესო წინადადებები არსებობს (თანაც გაცილებით ინტელექტუალური, ვიდრე პოლიტდებატები).

მაპატიოს ბატონმა გიორგიმ, მაგრამ რატომ იღებს თავის თავზე ასეთი რთული საკითხების ხელაღებით შეფასებას (ანალიზის გარეშე)? მე რაღაც არ მსმენია მასზე, როგორც გამოჩენილ პოლიტიკოსზე, მეცნიერზე, ექსპერტზე, სახელმწიფოს მართვის სისტემის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პიროვნებაზე. ის, რომ ის ქდმის ერთ-ერთი ლიდერია და თანამშრომლობს გ. თარგამაძესთან (რომელმაც მშვენივრად გაითამაშა „იმედის“ დარბევის სცენარი), ეს მისთვის დადებითი ქულების მომტანი არაა. ის ხომ კარგად იცის, როგორ მოხვდნენ მაშინ პარლამენტში?!

ერთ რამეში ვეთანხმები ბ-ნ გიორგის, როდესაც ამბობს, რომ საქართველოს ყოველთვის ჰყავდა ფარული და ღია მტრები ქვეყანაშივე და ასეთები ყოველთვის იქნებიან. მაგრამ აქვე მინდა, გავახსენო, რომ საქართველოს მუდმივად ჰყავდა და ახლაც ბევრი ჰყავს ვაი-პატრიოტები, რომლებიც ყველა მტერზე მეტ ზიანს აყენებდნენ მას და ახლაც აქტიურად „მოღვაწეობენ“. **განსაკუთრებით მომრავლდნენ ისინი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის გამართული ბრძოლისას, თანაც უმაღლეს პარტიულ და სამთავრობო დონეზე. სწორედ ამ მაღალ ეშელონებში მოღვაწე „პატრიოტებმა“, რომელთაც ქვეყნის ბედი ფეხებზე ეკიდათ, მიიყვანეს საქართველო ამ დონემდე. ამის შესანიშნავი მაგალითია წინა ხელისუფლება მთლიანად, რომელმაც ქვეყანა დააქცია და გარყვნა და ახლა, როდესაც ხალხმა მათ ზურგი აქცია და ახალი მთავრობა აირჩია, გაახსენდათ ქვეყნის ინტერესები და პატრიოტების ქურქში გახვეულნი ზოგჯერ ხალხის სასარგებლო ფრაზებს წამოისვრიან ხოლმე.**

ახლა, როდესაც ხალხს იმედი მოეცა და ახალ ხელისუფლებას მიენდო, საჭიროა, ყველამ მხარი დაუჭიროს მას. ეს ყველა ნორმალური ადამიანის ვალია. საჭიროა მკვეთრად გავემიჯნოთ ამ ვაი-პატრიოტებს.

ბ-ნ გიორგისაც ვუსურვებ ამ გზით ევლოს და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე საქმეებისათვის ებრძოლოს. მაშინ ჩვენი საქართველოც უფრო სწრაფად დაძლევს ვაი-პატრიოტებისაგან შექმნილ წინააღმდეგობებს და განვითარდება.

რაულ ჩიქოვანი

P. S. ეს სტატია გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორს, ბ-ნ ლაშა ტუღუშს გავუგზავნე ინტერვიუს გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში. ვფიქრობდი, გაზ. „რეზონანსი“ მხედველობაში მიიღებდა საწინააღმდეგო აზრსაც და გამოაქვეყნებდა ამ სტატიას, რადგან ამ გაზეთზე და მის რედაქტორზე დადებითი აზრი მქონდა და მისი მკითხველი ვიყავი. სამწუხაროდ, ეს გაზეთიც პოლიტიზებული გამოდგა. თითქმის თვენახევრის განმავლობაში არ დაბეჭდეს და არც პასუხი მაღირსეს, დაბეჭდავდნენ თუ არა. არც რედაქტორს დამაკავშირეს (მდივანი სულ იმას იძახდა, არ არისო). სამწუხარაა, რომ ჩემმა ნაქებმა გაზეთმა და მისმა რედაქტორმა იმედები გამიცრუეს. თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელია: ამის შემდეგ ამ გაზეთს აღარ ვყიდულობ და დღეში 50 თეთრი მეზოგება.

რ. ჩ.

◎ ინფორმაცია

150 მილიონი ლარი დევნილთა პრობლემების მოსაგვარებლად

ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ განაცხადა.

მინისტრი პროექტ „საქართველოს მთავრობა – ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში მედიის წარმომადგენლებს შეხვდა და როგორც განხორციელებულ სამუშაოებზე, ისე სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

მინისტრის თქმით, სამინისტროში დაწესდა დევნილთა მიღების დღე და უკვე მიღებულია 10 ათასზე მეტი დევნილი.

მისი ინფორმაციით, 308 დევნილ ოჯახს ფართი უკვე გადაეცა და 300-ზე მეტს კერძო საკუთრებაში დაუკანონდა, თუმცა, ეს პროცესი ისევ მიმდინარეობს. ამასთან, 5 200-ზე მეტმა დევნილმა ოჯახმა ბინის სანაცვლოდ კომპენსაცია მიიღო. როგორც დარახველიძემ აღნიშნა, ამ დროისთვის შეკეთდა 26 ობიექტი, სადაც დევნილები ცხოვრობენ.

ამასთან, 200-მდე დევნილს სხვადასხვა სახით ერთჯერადი დახმარება გაეწია.

მინისტრის ინფორმაციით, აშენდება ახალი საცხოვრებლები დევნილებისთვის როგორც რეგიონებში, ისე თბილისში. დარახველიძის თქმით, თბილისში 20 ათასზე მეტი დევნილი ოჯახია, რომელიც ბინით უზრუნველყოფას ელოდება. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ეს სერიოზული ციფრია და მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას რამდენიმე წელი დასჭირდება. დავით დარახველიძის თქმით, თუ დევნილს აქვს სურვილი, რომ თბილისიდან რეგიონში წავიდეს საცხოვრებლად, ამასთან დაკავშირებით არანაირი შეზღუდვა არ არსებობს, პირიქით, მას ექნება უპირატესობა ფართის გადაცემის კუთხით.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაიბრუნებს ფოთი „აბრეშუმის გზის“ ფორპოსტის ფუნქციას?

რა ხდება, ქართველებმა დავკარგეთ სიამაყის გრძნობა?

ფოთის ნავსადგურის პრობლემა დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას. სამწუხაროდ, ეს დიდი სტრატეგიული ობიექტი საეჭვო ვითარებაში გაიყიდა და ერთ დროს საქართველოს საზღვაო ჭიშკარი რიგით ტერმინალად იქცა. რა ბედი ელის მას? დაიბრუნეს საერთაშორისო „აბრეშუმის გზის“ ფორფოსტის ფუნქციას თუ იქნება არცთუ მნიშვნელოვანი სატრანზიტო კვანძის ნაწილი? — ამ საკითხებზე ვესაუბრეთ ფოთის საზღვაო ნავსადგურის ყოფილ მთავარ ინჟინერს, ახალი პორტის მშენებლობის იდეის ფოთელთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელს ჯემალ გერსამიას.

— ბატონი ჯემალ, „აბრეშუმის გზის“ აღორძინება საქართველოსთვის დიდი მოვლენა იყო სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის განახლების თვალსაზრისით. რა მდგომარეობაა დღეს, რა შეიცვალა?

— აღორძინება „დიდი აბრეშუმის გზისა“, რომელიც საქართველოზე და, უპირველესად, ფაზის-ფოთზე გადიოდა, ჩინეთიდან ევროპამდე, იყო უმოკლესი, უსაფრთხო და იაფი, ვიდრე შუა აზიაზე (თურქეთი) გამავალი სახმელეთო გზა. ამ გაგებით შევაბიჯეთ ქართველებმა 21-ე საუკუნეში, რაშიც გვარწმუნებდა ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მან აღადგინა „დიდი აბრეშუმის გზის“ იდეა და მივიღეთ „ტრასეკა“ — სატრანსპორტო დერეფანი აღმოსავლეთ-დასავლეთი.

ტრასეკას ეგიდით იტვირთებოდა საქართველოს რკინიგზა და ნავსადგურები.

ამ დერეფნის მეშვეობით 2012 წელს გადაიზიდა 50 მილიონი ტონა ტვირთი, მათ შორის, 12 მილიონი მოდის ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე. ტრანზიტის საფასურის გარდა, დასაქმდა ათასობით ადამიანი რკინიგზასა და ნავსადგურებში, ასევე, კერძო კომპანიებში და ღებულობდნენ შემოსავალს. არსებობს მონაცემები, რომ მათი რიცხვი 57 ათასს აღწევდა.

ევროკავშირი ხშირად ცვლის თავის პრიორიტეტებს ამიერკავკასიაში და გადააქვს იგი თურქეთში. ამით აიხსნება ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი რკინიგზის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მეორე შტოს ნავთობსადენის მშენებლობა. რკინიგზა, რომელიც გაივლის ბოსფორის სრუტის ქვეშ, პირდაპირ დაუკავშირებს შუა აზიის ქვეყნებს, პერსპექტივაში კი ჩინეთსა და ინდოეთს ევროპასთან. ევროკავშირმა უკვე გამოუყო თანხები თურქმენეთს, ყაზახეთსა და უზბეკეთს არსებული რკინიგზის ვიწროლიანდაგიანად გადაკეთებისთვის ევროპულ რკინიგზასთან მისაერთებლად. ამავე დროს, აზერბაიჯანმა ხორვატიაში ააშენა ორი ვიწროლიანდაგიანი სარკინიგზო ბორანი ბაქო-აქტაისა და ბაქო-თურქმენბაშის დასატვირთად. ამ გზით გათვალისწინებულია წელიწადში 17 ათასი ტონა ტვირთნაკადის გავლა. აზერბაიჯანი ასევე განიხილავს ყულევის ნავსადგურში მშენებარე ტერმინალის კონსერვაციას, რამეთუ პერსპექტივაში გეგმავს, თურქეთზე გამავალი მაგისტრალური ნავთობსადენით, შაჰ-დენიზის საბადოდან უშუალოდ ევროპაში გაიტანოს გაზი. იგულისხმება გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზრუმი. ამ შემთხვევაში საქართველოს მნიშვნელობა, როგორც სატრანზიტო ქვეყნისა, საგრძნობლად შემცირდება, რაც გააუარესებს საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხს.

საქართველოს ეკონომიკის დაბალი დონისა და სუსტი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებით, სატრანსპორტო მომსახურება იმ სახით, როგორც იგი გვესახება მომავალში, ვერ უზრუნველყოფს სტაბილურობას. უფრო მეტიც, სატრანსპორტო ტვირთებზე დაყრდნობა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისა, საბოლოო ჯამში, გახდება საშიში ნაციონალური სუვერენიტეტისთვის, ხოლო ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ექსპლუატაციაში შესვლით დავკარგავთ სუვერენიტეტსაც და შემოსავლებსაც. ამავდროულად, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის იდეა ეკუთვნის ისევ საქართველოს ექსპრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც გააჟღერა იგი 2001 წლის იანვარში, ანკარაში ვიზიტის დროს.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ქვეყანა სამრეწველო-აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა სატრანზიტო-სერვისულ ქვეყნად, რომლის ეკონომიკის მიმართულებაა სამომხმარებლო პრიორიტეტები, რომელთაც არა ნაციონალური, არამედ გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით არ ჩამორჩებოდა ბაქო-ჯეიჰანის პროექტს. სწორედ ე. შევარდნაძე გახდა შუამავალი თურქეთსა და ჩინეთს შორის თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობისა, სომხეთის ტერიტორიის გვერდის ავლით. შევარდნაძე ერთი ხელით სტაბილურობასა და სუვერენიტეტს ინარჩუნებდა „ტრასეკას“ მეშვეობით, ხოლო მეორე ხელით, რკინიგზის მეშვეობით, კარგავდა მას.

— ბატონო ჯემალ, რა შეიცვალა საქართველოსთვის ბოლო პერიოდში, რა ტენდენციები გამოიკვეთა?

— დროთა განმავლობაში ყველაფერი იცვლება. იცვლება გეოპოლიტიკური ინტერესები მსოფლიოში. იცვლებიან ქვეყნებისა და რეგიონების პრიორიტეტები. ასეთი ცვლილებები შეეხო საქართველოსაც, რომელმაც ბოლო 20 წლის განმავლობაში 180 გარდუსით იბრუნა პირი საბჭოთა კავშირიდან ამერიკისაკენ და დღეს საუბარი იმის შესახებ, რომ საქართველო დამოუკიდებელია, არ იქნება სწორი. ახლო მომავალში „ტრასეკას“ ტრანსფორმაცია მოხდებოდა სარკინიგზო გზებისა და მილსადენების გარეშე, თურქეთზე გავლით. შუა აზიის ქვეყნები სიამოვნებით შეცვლიან თავიანთი ტვირთების მიმართულებას, როგორც აღმოსავლეთით (ჩინეთი), ასევე სამხრეთით (ირანი) და ადვილი შესაძლებელია, ჩრდილოეთისკენაც. მთავარი მოტივი ამ შემთხვევაში იქნება პოლიტიკური და შემდეგ — გადაზიდვის ღირებულება. ამ მხრივ თურქეთს, საქართველოსთან შედარებით, უდიდესი უპირატესობა აქვს, ვინაიდან შუა აზიის ქვეყნები (თურქმენეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი) აზერბაიჯანი და ჩრდილოეთ ირანი თურქულენოვანი ერები არიან. ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ გაორმაგებულ ტარიფებს საქართველოს ნავსადგურებში, განსაკუთრებით კი ფოთში, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ნავსადგურებიდან ნახევარზე მეტი ტვირთები გაედინება თურქეთის პორტებიდან. თუ დავუბრუნდებით პოლიტიკურ ასპექტებს, საქართველოს სატრანსპორტო მნიშვნელობას, როგორც ჩანს, ახალი მთავრობა ამ მიმართულებით არაფრის შეცვლას არ აპირებს, საქართველოს კი არა აქვს შიდა რესურსები, რათა შეცვალოს თავისი შიდა და საგარეო ეკონომიკური კურსი. ამ შემთხვევაში საჭიროა, მოვიყვანოთ ერთი ბერძენი ფილოსოფოსის გამონათქვამი: (არა სიტყვა-სიტყვით, არამედ დაახლოებით): **ყველა პატარა ქვეყანა იმყოფება დიდი ქვეყნის ფრთებქვეშ და ცდილობს განთავისუფლდეს მისგან, მაგრამ როგორც კი აისრულებს თავისი დიდი ხნის ოცნებას, მაშინვე ეძებს მეორე ფრთას, რათა თავი შეაფაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აღიგვება პირისაგან მიწისა. ეს არის ყველა პატარა ქვეყნის ბედი.**

საქართველო იმეორებს ასეთი პატარა ქვეყნის ბედს. ჯერ იყო რუსეთი, შემდეგ — შეერთებული შტატები, ხვალ იქნება თურქეთი, ან შესაძლოა, ისევ რუსეთი?!

თურქეთთან დაახლოებით საქართველო მიიღებს მხოლოდ თავის ტერიტორიაზე ტრანზიტით, სამი მილსადენის მეშვეობით, გამავალ ნახშირწყალბადების ნედლეულის ღირებულების დადგენილ მცირე წილს და ორასკილომეტრიანი რკინიგზით თურქულ ქალაქ ყარსამდე. ეს ძალიან ცოტაა საქართველოს ბიუჯეტისათვის, ხოლო რამდენიმე ათასი სამუშაო ადგილის დაკარგვა, უბრალოდ, კატასტროფაა.

საქართველოს სატრანსპორტო მნიშვნელობა თანდათან შემცირდება და იგი დაექვემდებარება თურქეთის ინტერესებს, თუმცა, საქართველოს შეუნარჩუნდება სატრანზიტო ქვეყნის სახელი, მაგრამ უკვე არა ევროპისა და აზიას შორის, არამედ, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის.

— როგორ გესახებათ რუსეთის ადგილი ამ სატრანზიტო გეოპოლიტიკურ სივრცეში?

— აქვე გასათვალისწინებელია, რომ რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ტვირთნაკადი მიიზიდოს თავის ტერიტორიაზე, ამ შემთხვევაში სერიოზული ალტერნატივა იქნება 800-კილომეტრიანი საზღვაო პროექტის „ევრაზიის“ მშენებლობის რეალიზაცია. შავი და კასპიის ზღვებს შორის კრასნოდარისა და სტავროპოლის ტერიტორიების გავლით.

ვერც ერთი უარყოფითი ექსპერტიზა ვერ შეაჩერებს ამ მიმართულებას, რამეთუ იგი რუსეთის ინტერესებში იქნება. მიუხედავად იმ უდიდესი ზარალისა, რასაც იგი მიაყენებს ამ მხარეების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მეორე მხრივ, რუსეთის ინტერესები მიმართული იქნება თურქეთის წინააღმდეგ და თანხვედრაში აღმოჩნდება როგორც შეერთებული შტატების, ასევე ევროკავშირის ინტერესებთან.

საქმე ის არის, რომ მსოფლიო მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ქვეყნდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ დრო და დრო თურქეთი მხარს უჭერს ისლამიზაციას. ეს ტერიტორიებია მარმარილოს ზღვიდან ალტაიმდე. თუ კი ეს ამბიციები დროზე არ იქნა შეჩერებული, ვის შეუძლია შედეგები იწინასწარმეტყველოს?

— ბატონო ჯემალ, სად არის გამოსავალი?

— თურქეთის სწრაფვა აღმოსავლეთისაკენ იმ შემთხვევაში შეჩერდება, თუ შუა აზიის ქვეყნებს დავაინტერესებთ ალტერნატიული სატრანსპორტო გზებით. გარდა დაბალი ტარიფებისა, მნიშვნელოვანი იქნება წილობრივი მონაწილეობა ახალი ღრმაწყლიანი, მრავალპროფილიანი ნავსადგურის მშენებლობაში. ამ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებული იქნება თვითღირებულებაზე. გარდა ამისა, მწარმოებელ ქვეყანას უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ჰყავდეს თავისი ფლოტი, რომელიც ბაზირებული იქნება ამ ახალ პორტში და თავისივე ფლოტით გადაიტანს თავის ტვირთს დანიშნულების პუნქტამდე.

ამ იდეას, ალბათ, მხარს დაუჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და სომხეთიც, თუმცა, წინააღმდეგი იქნება რუსეთი. რუსეთს სურს, თავის ტერიტორიაზე გაატაროს ყველა ეს ტვირთი.

აქედან გამომდინარე, თუ გვინდა ვიყოთ დამოუკიდებელი, მაშინ უნდა ვიაროთ დამოუკიდებლობის გზით, აი, ასეთი შეხედულება აქვს რიგით ფოთელებს და, მათ შორის, მეც. და თუ ამას ვხვდებით ჩვენ, რიგითი ფოთელები, რატომ ვერ ხვდებიან მაღალჩინოსნები?

ფოთში ახალი ნავსადგურის მშენებლობა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ. ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტრომ მუშაობა უნდა დაიწყოს შუა აზიის და სომხეთის სახელმწიფოებთან, ამ იდეის განსახორციელებლად.

ამ პროექტის რეალიზაციით საქართველო შეინარჩუნებს საკონტინენტთაშორისო სატრანზიტო სახელმწიფოს მნიშვნელობას და, რაც მთავარია, სამუშაო ადგილებს ნავსადგურსა და რკინიგზაზე.

— ფოთელ მებადურებს დღემდე არა აქვთ მხარდაჭერა ხელისუფლების მხრიდან, მაშინ, როცა თურქები უპრობლემოდ აწარმოებენ ქაფშიის რეწვას. რას იტყვით ამის თაობაზე?

— ცალკე თემაა შავი ზღვის ქაფშიასთან წარმოქმნილი პრობლემები. გულგრილობა თუ შეესაძლო მძიმე დანაშაული ამ მხრივ ფაქტია. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, თევზჭერის საერთაშორისო წესდებით, 6 მმ-ზე მოკლე ქაფშიის რეწვა აკრძალულია. ის არის გამრავლების წყარო. ამიტომ ვფიქრობთ, ვიღაცების ლობირების გამოა, ალბათ, რომ მიმდინარეობს 50 ათასი ტონა ახალგაზრდა ქაფშიის რეწვა, რომლისგანაც მზადდება ფრინველთა საკვები ფქვილი და არა სასურსათო პროდუქცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივი მეწარმეები თურქეთის გემებიდან ღებულობენ ქაფშიას, ხოლო ადგილობრივებს რამდენიმე დღე უწევთ ლოდინი. ამიტომ ჩვენ ვეკითხებით ახალ მთავრობას, როდის აღდგება სამართლიანობა? ნუთუ არა გვაქვს ქართული სიამაყე?

თუ „ქართულ ოცნებაში“ საკადრო შიმშილია?

ვფიქრობთ, ერთი ახალგაზრდა, იდეურად გამართული, თავდადებული „მეოცნებე“ შეცვლიდა ამჟამინდელ ნომენკლატურულ ნაციონალებს.

ვიმედოვნებთ, მალე მოხდება ცვლილებები. ამის იმედს გვაძლევს ახლახან ჩატარებული ყრილობა, მაგრამ ერთი მაინც საკითხავია, საიდან ჩნდებიან ახალი პარტიული ლიდერები და რატომ იკარგებიან ძველი აქტივისტები?

— გმადლობთ საუბრისთვის!

ესაუბრა

ზურაბ აბრალავა,

„სრ“ საკ. კორ.

◎ ინფორმაცია

აშშ-ს საელჩო ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ახალი პროექტის — „ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები“ განხორციელებას იწყებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საელჩოდან აცნობეს, პროექტი, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ ლენა ლიკაძესთან თანამშრომლობით განხორციელდება, მოიცავს ლექციების სერიებს, ვორკშოპებსა და მასტერკლასებს ცნობილი ამერიკელი არქიტექტორების ხელმძღვანელობით.

— პროექტის მიზანია, ახალგაზრდებისთვის თანამედროვე არქიტექტურაში ახალი ტენდენციებისა და ხედვების გაცნობა, უახლესი ნაშრომების განხილვა და დისკუსია თანამედროვე არქიტექტურის მნიშვნელობაზე, — აცხადებენ საელჩოში.

მათივე განმარტებით, აღნიშნული მიზნით საქართველოს 21-24 მარტს ამერიკელი სტუმრები — რიჩარდ მაიერი და ბერნარდ კარფი ეწვევიან.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ბატონო რედაქტორო!

თქვენი 2012 წლის 3 დეკემბრის №4-65 წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა ქვეყანაში საქალაქთაშორისო საავტომობილო სამგზავრო გადაყვანების მოწესრიგების საკითხს, გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

როგორც ცნობილია, 2005 წლის 24 ივნისს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (№1775) საქართველოს კანონის მიღებითა და „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ (1778) საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე სანებართვო სისტემა გაუქმდა და სატრანსპორტო მომსახურების ეს სეგმენტი სახელმწიფო რეგულირების სფეროდან გადავიდა თავისუფალ საბაზრო პრინციპებზე.

სამწუხაროდ, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გატარებულმა ლიბერალურმა პოლიტიკამ ვერ უზრუნველყო გადამზიდველთა საქმიანობისათვის ბაზარზე საჭირო გარემო პირობების შექმნა (კონკურენციამ არაჯანსაღი ხასიათი მიიღო) და ვერც მგზავრის მომსახურებისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება. კონტროლის მექანიზმების შესუსტების გამო, საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე შეიქმნა ქაოსური სიტუაცია, რომელიც ჩვენი მოსაზრებით აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას უახლოეს პერიოდში.

დღეისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სისტემაში დაწყებულია აქტიური მუშაობა საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სფეროს მოწესრიგების თაობაზე, კერძოდ, მიმდინარეობს ტექნიკური რეგლამენტების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სრულყოფა. დახვეწას საჭიროებს ასევე აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი და საზედამხედველო საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება უცხოური გამოცდილებაც.

საქალაქთაშორისო და საგარეუბნო სამგზავრო გადაყვანების მოწესრიგების მიზნით, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ მიერ უკვე მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კანონებში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების განხორციელებას.

ამასთან, წერილში დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით ამ წლის 31 იანვარს სამინისტროს ტრანსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა შეხვდა საქართველოს ტრანსპორტის აკადემიის წარმომადგენლებს (რაჟდენ კიკილაშვილს და ელგუჯა ჭელიძეს) და მათთან ერთად განხილულ იქნა საქალაქთაშორისო საავტომობილო სამგზავრო გადაყვანების მოწესრიგების პერსპექტივები. საქართველოს ტრანსპორტის აკადემიის მხრიდან შემოთავაზებული იქნა წინადადებები (მათ შორის, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ მიერ საქართველოს ტრანსპორტის აკადემიასთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ) პრობლემის მოგვარებაში მათი წარმომადგენლების ჩართვის თაობაზე.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების და ინიციატივების თაობაზე დაგეგმილია უცხოელ და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად (მათ შორის, საქართველოს ტრანსპორტის აკადემია) სამუშაო შეხვედრის ორგანიზება, სადაც განხილული იქნება აღნიშნული საკითხები და უზრუნველყოფილი შესაბამისი დაინტერესებული პირების ჩართულობა.

პატივისცემით

ნათია მიქელაძე,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე

ბიუჯეტი მილიონებს კარგავს, მგზავრი — კომფორტულ მომსახურებას

ეკონომიკა ჯერ ისევ ნაციონალების ხელშია

პატივცემულო მკითხველო, როგორც რედაქციაში შემოსული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილიდან ჩანს, მასში საუბარია იმ პუბლიკაციის თაობაზე, რომელიც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სათაურით — „ქაოსსა და განუკითხაობას ვეღარ შევურიგდებით“, — 2012 წლის 1 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა. საავტომობილო ტრანსპორტისა და მგზავრთა მომსახურების უმტკივნეულეს პრობლემებს ეხებოდა სხვა უამრავი კრიტიკული წერილიც, რომლებიც „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2010-2011 წლებში დაისტამბა. მთელ ამ პერიოდში, როცა ეს მასალები ქვეყნდებოდა, იმდენი რამ მოხდა და შეიცვალა (მათ შორის მთავრობაც), ვითომ დარგში რეფორმები განხორციელდა, „ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციას“ ახალი სახელი — „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ დაერქვა, ამასობაში, როგორც ხალხში იტყვიან, ვირი ხეზეც გავიდა, მაგრამ თავად ხსენებულ დარგს რეალურად არაფერი შეხებია, ერთხელ ამღვრეული წყალი ოდნავადაც არ დაწმენდილა.

ამავე აზრისაა საქართველოს ტრანსპორტის აკადემიის პრეზიდენტი **რაჟდენ კიკილაშვილი,** რომელმაც როგორც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან, ისე ხსენებული სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებთან უშუალო შეხვედრისას თუ წერილობით მიმოწერისას საავტომობილო ტრანსპორტის ქაოსური საქმიანობიდან გამომდინარე, იმდენი პრობლემა და საკითხი წამოიჭრა, რომ მათი არა თუ გადაჭრა, ჩამოთვლაც გაგვიჭირდება. ბატონი რაჟდენი ამჯერადაც არ დაგვზარდა ეკონომიკის სამინისტროდან გამოგზავნილ პასუხთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხზე გაგვსაუბრებოდა.

— როგორც მაგ პასუხიდან ჩანს, — ამბობს ტრანსპორტის აკადემიის პრეზიდენტი, — გაზეთში გამოქვეყნებული და ჩემგან გაგზავნილი წერილების ირგვლივ გასაუბრება სამინისტროში შედგა, ჯერ დეპარტამენტის უფროს ქეთევან სალუქვაძესთან, შემდეგ კი მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძესთან. ისინი აღიარებენ, რომ მგზავრთა გადაყვანის სატრანსპორტო პროცესში მონაწილე თითოეული სუბიექტის საქმიანობაში სრული ქაოსია გამეფებული, რის გამოც ზარალდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, ასევე უკმაყოფილონი არიან ავტოსადგურების მუშაკები, გადამყვანები და მგზავრები.

— აღიარება ერთია, მაგრამ რეალური საქმის კეთება — მეორე. საინტერესოა, რის გაკეთებას აპირებენ ისინი ავტოტრანსპორტის დარგში გამეფებული რუტინისა და უძრაობის დასაძლევად?

— სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით. ამ შეხვედრის შემდეგ ველოდით, რომ მოხდებოდა სამინისტროსა და ჩვენი აკადემიის კომპეტენტური წარმომადგენლების შეხვედრა, სადაც განვიხილავდით დარგში არსებული განუკითხაობის პრობლემებს, შევიმუშავებდით კონკრეტულ ღონისძიებებს და დავსახავდით მათი ცხოვრებაში ხორცშესხმის პროგრამას. სამწუხაროდ, ასეთი შეხვედრა დღემდე არ შემდგარა.

— ამის თაობაზე მინისტრი საქმის კურსში არ ჩაგიყენებიათ?

— როგორ არა, მიმდინარე წლის 27 თებერვალს გაგზავნილ წერილში ბატონ გიორგი კვირიკაშვილს ვთხოვდი პირადად შემხვედროდა, რადგან უკმაყოფილებას გამოვთქვამდით სამინისტროს მაღალჩინოსნებთან შეხვედრების დროს მიუღწეველი შედეგის გამო. ეს წერილი, როგორც ხდება ხოლმე, განიხილეს იმავე ჩინოვნიკებმა, რომლებსაც ვემდუროდი და არა მარტო არ გადაწყვიტეს წერილში დასმული საკითხები, ერთგვარად შეეცადნენ კიდეც გამოგზავნილ ზოგადი ხასიათის პასუხში გაემართლებინათ სამინისტროს მუშაკთა უუნარობა — სამგზავრო გადაყვანების სფეროში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების საქმეში.

— ბატონო რაჟდენ, ზოგჯერ მეც ვესწრებოდი ხსენებულ ჩინოვნიკებთან შეხვედრებს და მახსოვს მათი საყვედურნარევი პასუხები იმის თაობაზე, რომ თავად კანონი არ აძლევთ მათ უფლებას შეამოწმონ დარგში აღრიცხვიანობისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების სისწორე. როცა შეიქმნება შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც მათ ამის მონიტორინგის უფლებას მისცემს, მაშინ ამ მიმართებით გამოვლენილ ყველა ჩავარდნასა და განუკითხაობაზე პასუხს აგებენ.

— არ არიან მართალნი, როცა ასეთ განცხადებებს აკეთებენ და დარგში შექმნილ განუკითხაობას საკანონმდებლო ბაზის, ანუ მონიტორინგისათვის სანებართვო პირობების არარსებობით ხსნიან. მათი ასეთი განმარტება არასრულფასოვანია, რადგან მოქმედი კანონმდებლობითაც მათ მინიჭებული აქვთ საკმაოდ ქმედითი ბერკეტები არსებული ქაოსის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ისინი ამას ვერ იყენებენ.

— მინისტრი რედაქციაში გამოგზავნილ პასუხში იწერება, რომ საქალაქთაშორისო თუ საგარეუბნო სამგზავრო გადაყვანების მოწესრიგების მიზნით, სახმელეთი ტრანსპორტის სააგენტოს მიერ უკვე მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კანონებში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების განხორციელებას.

— კარგია, რომ კანონებში ცვლილებების შეტანას აპირებენ, მაგრამ ვიდრე ეს მოხდება, როგორ ფიქრობთ, სამინისტროს ჩინოვნიკები, სანებართვო პირობების მოლოდინში, გულხელდაკრეფილნი უნდა ისხდნენ და უცქირონ ცალკეული არამზადები როგორ იტაცებენ ბიუჯეტის კუთვნილ მილიონებს? მათ ავიწყდებათ, რომ ამ უკანონობისა და განუკითხაობის აღმოსაფხვრელად მარტო საკანონმდებლო პაკეტის მომზადება საკმარისი არ არის. საჭიროა ყოველდღიური, სისტემატური მუხლჩაუხრელი შრომა იმისათვის, რომ ეს პაკეტი ცხოვრებისეულ კანონად იქცეს, რასაც ისინი დღემდე ვერ ახერხებენ. სამაგიეროდ, რატომღაც კარგად ახერხებენ სოლიდური ხელფასების მიღებას, ოფისების კეთილმოწყობას, საზღვარგარეთ ძვირადღირებული მივლინებებით გამგზავრებას, რასაც ისინი ახორციელებენ მეწარმეებისათვის შეწერილი დამატებითი გადასახადების ხარჯზე.

— რატომ მეწარმეების ხარჯზე, განა ტრანსპორტის სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება?

— არა, ადრე თუ „ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, ახლა „სამხელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ ფინანსდება საგადასახადო კოდექსის გვერდის ავლით, დარგში დასაქმებული მეწარმეებისთვის დაწესებული ახალი გადასახადიდან, რომელსაც მომსახურების საფასურს უწოდებენ. ისინი მომსახურებას არქმევენ ლიცენზიის საბუთის გამოწერას და მხოლოდ ამაში მეწარმეებს იძულების წესით საკმაოდ სოლიდურ თანხას ახდევინებენ(!).

— ასეთი შემოსავლების მიუხედავად, როგორც ვიცი, სააგენტო მცირე თანხის გაღებასაც არ აპირებს იმისთვის, რომ ტრანსპორტის აკადემიის სპეციალისტები აქტიურად ჩაერთონ ავტოსატრანსპორტო მეურნეობაში დაგროვილი აწეწილი საქმეებისა და პრობლემების მოგვარებაში. ლაპარაკია ხელშეკრულების დადების საფუძველზე სპეციალისტთა შრომის ანაზღაურებაზე, რადგან უხელფასოდ დღეს არავინ მუშაობს. მაინტერესებს, როგორია ამ საკითხის მიმართ სამინისტროს დამოკიდებულება?

— სამინისტრო ჩვენს აკადემიას განიხილავს როგორც ტრანსპორტელთა საზოგადოებასთან განცალკევებულ სტრუქტურას, რაც არასწორია. განვმარტავ, რომ აკადემიის დაფუძნება გადაწყვიტა საქართველოს გადაზიდვების წარმომადგენელთა კრებამ, რომელიც ჩატარდა თბილისში 2010 წლის 26 იანვარს. ამ გადაწყვეტილების შესრულების მიზნით, იგი (აკადემია) დააფუძნა საქართველოს ტრანსპორტის აკადემიის დამფუძნებელთა კრებამ 2010 წლის 1 აპრილს, რომელიც იმავე წლის 6 აპრილს რეგისტრაციაში გაატარა საჯარო რეესტრმა. აქედან გამომდინარე, რადგან აკადემია დაფუძნებულია მეწარმეების მიერ, იგი არის მათი უფლებების დამცველი და ამიტომაც მოვითხოვთ სამინისტროსა და მისი სააგენტოსგან, მათი საქმიანობა იყოს გამჭვირვალე და იმოქმედონ ტრანსპორტელთა საზოგადოების კანონიერ მოთხოვნათა შესაბამისად. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ მათ წინაშე დავაყენეთ მეწარმეებისთვის მტკივნეული არაერთი საკითხი, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ჩვენთან ერთად მომხდარიყო ამ საკითხების საჯარო განხილვა, მათ ამჯობინეს პრინციპით — მე ვარ და ჩემი ნაბადი, — მუშაობა. რომელ გამჭვირვალობასა და განხილვაზეა საუბარი, როდესაც სამინისტროსა და სააგენტოს ხელმძღვანელები ხშირად ტელეფონის ზარსაც კი არ პასუხობენ...

სიმართლე თუ გნებავთ, აი ასეთია მწარე რეალობა, რომელიც ტრანსპორტის აკადემიის პრეზიდენტმა ჩემთან საუბარში მიუკერძოებლად დახატა. არ დაგიმალავთ, იმის იმედი, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკასა და ადამიანთა ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვლებოდა, ჯერჯერობით არ გამართლდა. ეკონომიკის სამინისტროში ხელმძღვანელობა კი შეიცვალა (სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში ესეც არ მომხდარა!), მაგრამ დარგში არსებული ქაოსი და განუკითხაობა ისევ უცვლელი დარჩა, აქაური მაღალჩინოსნები, როგორც თავად აცხადებენ, ელოდებიან საკანონმდებლო ცვლილებებს და ჩაფლავებული მდგომარეობის გამოსასწორებლად თითს თითზე არ აკარებენ. რას ელოდებიან? სხვა თუ არაფერი, ნუთუ იმის ძალა მაინც არ შესწევთ, რომ სამართალდამცავთა დახმარებით, ავტოსადგურებს ეგრეთ წოდებული „ხიშნიკები“ მაინც მოაცილონ? ლაპარაკია იმ კერძო ავტობუსების მძღოლებზე, რომლებიც ავტოსადგურებში საერთოდ არ შედიან და სხვადასხვა ადგილებში ჩასაფრებულნი მგზავრებს პირდაპირ გზიდან იტაცებენ. ისინი გარდა იმისა, რომ გზაში ურთიერთგაჯიბრებულნი ხშირად არღვევენ მოძრაობის წესებს, რაც არც თუ იშვიათად ტრაგიკული შემთხვევებით მთავრდება, ამავე დროს, მილიონობით ლარის ზარალს აყენებენ სახელმწიფო ბიუჯეტს, რაზეც ამ ჩვენი კეთილისმყოფელ ხელისუფალთა მხრიდან რატომღაც ყველა თვალის დახუჭვას ამჯობინებს.

ბუნებრივად იბადება კითხვები: რატომ ხდება ასე, რატომ არ იძვრის ეკონომიკა და რატომ არის გაყინული ის ერთ ადგილზე? რატომ გრძელდება სახელმწიფო ხაზინის ქურდობა იმავე მეთოდებით, რომლითაც ნაცები ეკონომიკას და ბიზნესს ყაჩაღურად ძარცვავდნენ? როგორც „ქართული ოცნების“ ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელი დემურ გიორხელიძე აცხადებს, ხელისუფლება კი შეიცვალა, მაგრამ ეკონომიკა ჯერ ისევ ნაციონალების ხელშია, ამასთან, საკმაოდ არიან ახალ ხელისუფლებასთან მიტმასნილი ადამიანები, რომლებიც ქვეყნის წინსვლას შეგნებულად აფერხებენ და პრემიერის სახელსაც საკმაოდ ბოროტად იყენებენ. ისინი ცდილობენ, დაარეგულირონ ახალი ვითარებები, ახალი სიტუაციები, ანუ თამაშის წესების შეუცვლელად გახდნენ ამ მძარცველური, უკვე კარგად აწყობილი სისტემის თანამონაწილენი.

გამოსავალი ერთადერთია: ქვეყანაში ნაცების მიერ დანერგილი მძარცველური სისტემა, რომელიც სახელმწიფო ხაზინის ქურდობასა და ხალხის ყვლეფაზე იყო ორიენტირებული, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაინგრეს. გულხელდაკრეფა და უკეთესის მოლოდინით ტკბობა მარცხის ტოლფასია.

ოთარ ხუციშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სარედაქციო ფოსტა

ბატონო ბიძინა, ჩვენთან ერთად საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოტყუებასაც ცდილობენ

ბ-ნო ბიძინა, როგორც საქმის წარმოების პროცესზე და ფაქტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, ქ. თბილისის მერიის ჩინოვნიკებს დიდი სურვილი აქვთ თბილისის ცენტრში, თავისი ადგილმდებარეობით ფილარმონიის საკონცერტო დარბაზსა და სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსს შორის, მათ დამაკავშირებელ, დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ, მელიქიშვილის ქუჩაზე, დღემდე ზედ მელიქიშვილზე მდებარე, ჩვენი კერძო საკუთრების ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებით და ეზოებით დაკავებული ტერიტორიების ხელში ჩაგდებისა. ამიტომ ერთი ასეთი საკმაოდ დიდი ტერიტორიის — მელიქიშვილის №21 და №23 საცხოვრებელი სახლებით დაკავებული ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად სურთ, რომ გამოიყენონ მელიქიშვილის ქუჩის №17 და №19 1-2-სართულიანი საცხოვრებელი სახლების ადგილზე ახალი 5-6-10-სართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის დაპროექტება-აშენების შემთხვევა, და აგერ უკვე თითქმის 10 წელია, აღნიშნული სახლისთვის არქიტექტურული პროექტის დამუშავების დაწყებიდან — მის დასრულება-დამტკიცებამდე და მას შემდეგაც დღემდე, ფარულად, მშენებლებთან ერთად №19-ში მცხოვრებ მოქალაქესთან შეკვრა-მორიგებით ხელს უწყობენ მისი ისეთი ქმედებების შეგნებულად განხორციელებას, ფაქტებზე, თვალის დახუჭვით, უმოქმედობით და აბსურდული გამამართლებელი არგუმენტაციებით, რამაც ფარულად ხელოვნურად გამოიწვია, მოახდინა და განავითარა, და კვლავაც იწვევენ და ავითარებენ №21 ორ-სართულიანი საცხოვრებელი სახლის ნგრევითი პროცესების გაჩენა-განვითარებას კრიტიკულ დონემდე. რათა ჯერ კიდევ იმ ახალი სახლის მშენებლობის დაწყებამდე მოხდეს №21 საცხოვრებელი სახლის ჩამოშლა, ისე, რომ ეს მათ არ დაბრალდეთ, ხოლო №21-ის მესაკუთრეს მისცენ სამაგიერო, თუნდაც იგივე ფართის ბინა სადმე მუხიანის, დიდი დიღმის ან ვაზიანის ახალ რაიონებში, ხოლო ის ტერიტორია კი, რომელიც თავისი ადგილმდებარეობის გამო უფრო ძვირი ღირს და თანაც კიდევ უფრო მეტი სისწრაფით ძვირდება, ვიდრე ის ახალი ბინები აღნიშნულ რაიონებში, დარჩეთ მათ, და ამასთან ერთად, ამით მშენებელსაც თავიდან ააცილონ მშენებლობის დაწყებამდე საიმედოობისა და უსაფრთხოების მიზნით ასაშენებელი ობიექტის მოსაზღვრედ მდებარე შენობა-ნაგებობებისთვის საჭირო, კანონით განსაზღვრული გამაგრებითი ტექნიკური სამუშაოების განხორციელებაც და შესაბამისად საჭირო ფინანსური ხარჯებიც.

ამიტომ ასევე ფარულად, მერიის ჩინოვნიკების ხელშეწყობით, მერიის მიერ შეგნებულად მოხდა იმ ახალი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის ისეთი პროექტის დამტკიცება, რომელსაც არ ახლავს გენ-გეგმის ნახაზი, ანუ ნებისმიერი ცალკეული ობიექტის არქიტექტურული პროექტის შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, საიდანაც უნდა ჩანდეს, თუ როგორ იქნება განთავსებული ახალი ობიექტი მის გარშემო, მის მოსაზღვრედ არსებულ შენობებს შორის. ამხელა მოცულობის წამოჭიმვით ირღვევა თუ არა ჯანსაღი საცხოვრებელი პირობების შესანარჩუნებლად (რაც დღემდე გვაქვს) სამშენებლო ნორმების დამტკიცებული შენობებს შორის საჭირო დაცილებების სიდიდეები, მეზობლად, მოსაზღვრედ მდებარე, არსებული საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა უფლებების გათვალისწინებით. მათივე სახლებისაც იგივე ხარისხობრივი კოეფიციენტით რეკონსტრუქციისა და პერსპექტიული ზრდა-განვითარების პირობებშიც კი, რადგანაც აღნიშნული უბანი მთლიანად სარეკონსტრუქციო ზონაა, ანუ დამტკიცებულ პროექტს არ ახლავს, ქალაქმშენებლობითი თვალსაზრისით გენ-გეგმის სახით მისი შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, რომლის გარეშეც წესითა და რიგის მიხედვით არა თუ პროექტის დამტკიცება არ შეიძლება, არამედ მისი განსახილველად მიღებაც კი დაუშვებელია. დამტკიცებული პროექტის მიხედვით გენ-გეგმად წარმოდგენილი აქვთ მხოლოდ და მხოლოდ საპროექტო ობიექტის სახურავების გეგმის ნახაზი და უწერიათ „გენ-გეგმა“, რაც მნახველის მოტყუებას ისახავს მიზნად. რადგან მის მიხედვით მნახველს ისეთი წარმოდგენა ექმნება, რომ იგი თითქოს სადღაც ტრამალ მინდორში, მის მეზობლად, მის მოსაზღვრედ, განაშენიანებებისგან თავისუფალ ტერიტორიაზე იყოს ასაშენებლად გათვალისწინებული და არა დედაქალაქის ცენტრში, გარშემო საცხოვრებელი სახლებით მჭიდროდ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე.

ბატონო ბიძინა აქვე სრული პასუხისმგებლობით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი შენობა-ნაგებობის მხატვრულ-ესთეტიკური იერსახის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ადგილზე მის განთავსებაში და სიგრძე-სიგანისა და სიმაღლის მხრივ გარშემო მდებარე მომიჯნავე შენობებთან ურთიერთდამოკიდებულებაში მდგომარეობს, რასაც უმეტეს შემთხვევაში გარეშე თვალი ვერც კი შეიგრძნობს და არა მხოლოდ ფასადების მორთულობაში, ისე არაცნობიერად მოქმედებს იგი მნახველზე, რაც მაღალი დონის ხელოვნების ნაწარმოების დამახასიათებელია. და თუკი არქიტექტორს ეს არ ესმის, ვერ შეიგრძნობს და ყურადღებას არ აქცევს, ჩათვალეთ, რომ დღევანდელზე უფრო რთულ, ახალ პრობლემებს უჩენს სამომავლოდ ქალაქსაც და ქვეყანასაც, შვილთაშვილების მიერ მოსაგვარებლად. რადგანაც შემოქმედებით მხარეს რომ თავი დავანებოთ, ტექნიკურადაც და ეკონომიკურადაც 10-12-სართულიანი, მრავალფუნქციური შენობებისგან შემდგარი უსახური ჯგუფის მხატვრულ-ესთეტიკური იერსაეხის პრობლემების მოგვარება უფრო რთულია, ვიდრე 2-3-სართულიანი საცხოვრებელი სახლებისგან შემდგარი ჯგუფისა, რასთანაც სადღეისოდ გვაქვს საქმე. არქიტექტორი ნებისმიერი ცალკეული შენობა-ნაგებობის, მთი უფრო ამხელა 10-სართულიანი მოცულობითი ობიექტის არქიტექტურულ-გეგმარებით პროექტს ფართო ქალაქმშენებლობით პრობლემათა კონტექსტში უნდა წყვეტდეს და ასრულებდეს. ეს ხელისუფლებისთვისაც ნიშანი უნდა იყოს მისი შემოქმედებითი დიაპაზონის და დონის შესაფასებლად.

დამტკიცებული პროექტის მიხედვით გენ-გეგმის ნახაზი იმიტომაც არ არის წარმოდგენილი, რადგან საპროექტო ობიექტი ისეა შეგნებულად განთავსებული ფართის მოგების მიზნით გარშემომდებარე შენობებს შორის, იმდენად მცირე მანძილითაა ყოველი მხრიდან იგი დაცილებული მათ და იმდენად არაჯანსაღი საცხოვრებელი სივრცითი გარემო იქმნება მისი რეალიზაციის შემთხვევაში, რომ ამის ვიზუალურად და დოკუმენტურად ფიქსაციის შედეგად მისი დამტკიცება შეუძლებელი იქნებოდა.

ბ-ნო ბიძინა ჩვენ, მელიქიშვილის ქუჩის №21 და №23 სახლებში მცხოვრებმა მესაკუთრეებმა, რადგანაც კარგად ვიცოდით მერიის ჩინოვნიკთა პირადი დაინტერესებისა და ხელისშეწყობათა შესახებ, ამიტომაც წერილობითი ფორმით (№74288:11.2011) დახმარებისთვის მოგმართეთ პირადად თქვენ, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს და საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. რისი საშუალებითაც გთხოვდით სპეციალური კომისიის ადგილზე მოვლინებას და მერიის ჩინოვნიკების ხელშეწყობით შეგნებულად გაჩენილ-განვითარებული, მიმდინარე რღვევითი პროცესების ადგილზე ნახვასა და ამის შედეგად გამოწვეული №21 საცხოვრებელი სახლის დაშლილი მზიდი კედლებისა და კონსტრუქციების ადგილზე გაცნობას.

იმავე განცხადების მიხედვით ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების პოზიციებიდან გამომდინარე, თქვენსა და პრეზიდენტის წინაშე ვაყენებდით აღნიშნული პროექტის გაუქმებას და იმავე ადგილისთვის, მთელი კვარტლის კომპლექსური რეკონსტრუქციისა და განვითარების დეტალური დაგეგმარების არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი პროექტის დამუშავებას მაღალი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე გარანტიით უკვე ჩვენ მიერ. მაგრამ თქვენი კანცელარიის თანამშრომლებმა აღნიშნული ჩვენი კოლექტიური განცხადება ისე გადაუგზავნეს რეაგირებისთვის ისევ მერიას, რომ თქვენამდე ის, არც კი მოსულა.

ბატონო ბიძინა ამ საქმის მიმართ, როგორც თქვენი კანცელარიის თანამშრომლების მიერ გამოჩენილი ქმედებებიდან ჩანს, ისინი შეკრული უნდა იყვნენ მერიასთან და თუ მართლა გსურთ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება, ქვეყნის წინსვლა-განვითარება, გღალატობენ და ხელს გიშლიან ამაში. რადგანაც აღნიშნული პროექტის რეალიზაცია თუ მაინც მოხდა და მშენებლობის პერიოდში №21 საცხოვრებელი სახლი გადაურჩა ჩამოშლას, მაშინ მელიქიშვილის ქ. №21 და №23 სახლების მესაკუთრეებს გვერთმევა სამომავლოდ ჩვენივე სახლების რეკონსტრუქციისა და ზრდა-განვითარების უფლება-შესაძლებლობები იგივე ხარისხობრივი კოეფიციენტით, როგორითაც იმ მრავალფუნქციური სახლის მენაშენეები სარგებლობენ.

თბილისის მერიაში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან და საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან გადაგზავნილი ჩვენი კოლექტიური ადმინისტრაციული საჩივრების პასუხად ამა წლის 27 თებერვალს მერიიდან მივიღეთ ქ. თბილისის მერის მოადგილის ბ-ნ დავით ალავიძის 2013 წლის 20 თებერვლის №253 განკარგულება, რომელსაც შესაფასებელი ობიექტი, ანუ ჩვენი სახლები, აღნიშნული ფაქტები და მიზანდასახულად შექმნილი კრიტიკული ავარიული მდგომარეობა ადგილზე არც თავად უხილავს და არც კომისია გამოუგზავნია, ისე ეყრდნობა დამტკიცებული პროექტის ექსპერტების ყალბ დასკვნებს. ხოლო გვერდითი №19 საცხოვრებელი სახლის აღება-დაშლითა და ახალმშენებლობით დაინტერესებული მოსახლის — №19 საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრის მიერ თავისი სახლის წყალმომარაგება-კანალიზაციის მილგაყვანილობათა სისტემის სრულიად შეგნებულად, მიზანდასახულად, ხელოვნურად მოშლის, დაზიანება-ამორტიზებისა და იქიდან უკვე ცხრა წელია, მისი იქ გადმოსვლის დროიდან ყოველდღე, ოცდაოთხი საათის განმავლობაში უწყვეტად გრუნტში გასული წარეცხვების წყლების შედეგად მიღებული საგანგაშო ფაქტებს, რაც №21 საცხოვრებელი სახლის ჩამოქცევით, ოჯახის შიგნით მოყოლითა და ტრაგედიით შეიძლება დასრულდეს. არადა, გაფრთხილებაც კი არ მიუცია მისთვის არავის, რომ მისი წყლების მოშლილი მილგაყვანილობათა სისტემა გამოეცვალა.

ბატონო ბიძინა, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ როგორ შეიძლება ობიექტური იყოს თქვენი კანცელარიიდან მერიაში გადაგზავნილი ჩვენი კოლექტიური განცხადების პასუხად მიღებული მერიის ის №253 განკაგულება, რომელშიც ისეა შეფასებული ხელოვნურად შექმნილი მდგომარეობა და გაკეთებულია დასკვნა, რომ შესაფასებელ მდგომარეობას ადგილზე არ გასცნობიან. ამიტომ ჩენთან ერთად მოტყუებული გამოჰყავხართ პირადად თქვენც და ბატონი პრეზიდენტიც.

ამიტომ გთხოვთ, ადგილზე, თბილისში, მელიქიშვილის ქ. №21-ში და №23-ში სპეციალური კომისიის გამოგზავნას და ობიექტური დასკვნისა და შეფასების გაკეთებას, იმისდა მიხედვით მოქმედებასა და რეაგირებას. ოღონდ მაღალი დონისა და დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტებისგან შემდგარი კომისიისა ყველა მიმართულებით, და არა ისე, როგორც ეს გაგვიკეთეს მერიაში, თქვენი კანცელარიიდან გადაგზავნილი, ჩვენი ზემოთ აღნიშნულ (№7428. 8.11.2011 წ.) განცხადებაზედ რეაგირებისთვის. საიდანაც მომივიდა შეტყობინება, მობრძანდთ მერიაში და ერთად გავარჩიოთ და გავარკვიოთ, რაშია პრობლემაო? სადაც მისვლით კი მივედით, მაგრამ იქ მაღალი დონის სპეციალისტებისა და გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე ხელმძღვანელების ნაცვლად დაგვხდა ერთი უბრალო, გამოუცდელი ახალგაზრდა გოგონა, რომელმაც ჩაიწერა ის მოთხოვნები, რაც განცხადებებში გვეწერა და გამოგვიშვა. გვითხრა პასუხს მიიღებთო და პასუხად მივიღეთ აღნიშნული 2013 წლის 20 თებერვლის №253 განკარგულება. ანუ მდგომარეობაში რეალურად არც კი გარკვეულან, და ჩვენი იქ დაბარება კი საქმის წარმოებაში ჩაეთვალათ, რომ ვისთანაც დასჭირდებათ გამოიყენონ.



პატივისცემით

მირიან გედენიძე,

19.03.2013 წ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კვალი დროში

პრინციპული – მეცნიერებაში, უკომპრომისო – საქმეში

აკადემიკოსი იური კაჭარავა – 100

დაბადებიდან 100 წლისთავი უსრულდება გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილების პირველ ხელმძღვანელს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ღირსების ორდენის კავალერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს იური კაჭარავას.

იური კაჭარავა დაიბადა 1913 წლის 22 მარტს სენაკის მაზრის სოფელ ბანძაში. დაწყებითი განათლებაც ამ სოფელში მიიღო. სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელა, სადაც მას საქართველოს ისტორიის საფუძვლებს ქართული საისტორიო მეცნიერების კორიფეები ასწავლიდნენ.

მისი ხანგრძლივი და მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობა, ყოველდღიური ინტენსიური შრომა ეძღვნებოდა მშობლიური ქვეყნის – საქართველოს ისტორიის ურთულესი და მეტად დრამატული მონაკვეთის – XX საუკუნის წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქის შესწავლას.

XX საუკუნის 30-40-იანი წლები ქართული ისტორიოგრაფიის და საერთოდ, XX საუკუნის ისტორიის მკვლევარებისთვის განსაკუთრებული სირთულეებით გამოირჩეოდა: კომუნისტური პარტიის დოგმატიკური პრინციპები განსაზღვრავდნენ საზოგადოებათმცოდნეობის, მათ შორის საისტორიო მეცნიერების ძირითად მიმართულებებს.

სიძნელეების მიუხედავად, იური კაჭარავა ინტესიურად იკვლევდა საქართველოს XX საუკუნის ისტორიის ურთულეს პერიოდებს. საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით, საყურადღებო სამეცნიერო პუბლიკაციებით მან ძალიან მალე მოიპოვა ავტორიტეტი და აღიარება კოლეგებს შორის.

მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩევა XX საუკუნის 50-იანი წლები, როცა ის ინტენსიურ საკვლევაძიებო მუშაობას ეწევა, აგროვებს ახალ საისტორიო მასალას საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის – 1921-1925 წლების ისტორიის შესასწავლად. საქართველოს ისტორიის ეს დრამატული პერიოდი დღესაც ქართველი ისტორიკოსების ყურადღების ცენტრშია, იწერება უამრავი საყურადღებო შრომა, მაგრამ თავისი მნიშვნელობით მაინც გამოირჩევა იური კაჭარავას ფუნდამენტური ნაშრომი „საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში“ (1958).

მიუხედავად იმისა, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიცვალა დამოკიდებულება, მსოფლშეგნება, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მიმართ იდეოლოგიური დამოკიდებულება, ამ წიგნმა დროის გამოცდას გაუძლო და მთელი რიგი დებულებები დღესაც მნიშვნელოვანია. ბოლო წლების მეცნიერული გამოკვლევები ადასტურებს, რომ იური კაჭარავას მიერ ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასასრულს გაკეთებული დასკვნები „ნაციონალ-უკლონისტების“, 1924 წლის აჯანყების, სოფლად აგრარული გარდაქმნების შედეგების შესახებ საყურადღებო და გასაზიარებელია.

აკადემიკოსმა იური კაჭარავამ, პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, შეისწავლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გარემოებები, პროლეტარიატის დიქტატურის ადგილობრივი თავისებურებები, ახალი საბჭოთა სტრუქტურების ფორმირების პროცესი, ამიერკავკასიისა და საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ისტორია და ა.შ.

მეტად მრავალმხრივი იყო აკადემიკოს იური კაჭარავას შემოქმედებითი მოღვაწეობის დიაპაზონი: მისი მეცნიერული ინტერესი წვდებოდა საქართველოს ისტორიას, საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიას, ეროვნულ პრობლემებს, საეროვნებათაშორისო ურთიერთობებს, ქართულ საბჭოთა კულტურას, მისი განვითარების თავისებურებებსა და ეტაპებს, საისტორიო მეცნიერების ისტორიას (ისტორიოგრაფიას). კვლევის ყველა მიმართულებაში აკადემიკოსმა იური კაჭარავამ თავისი სიტყვა თქვა და დიდ შედეგებსაც მიაღწია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ნაშრომებს ეროვნული პრობლემების კარდინალური საკითხების დამუშავების საქმეში. აღსანიშნავია მისი გამოკვლევა „ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები“ (1966), რომელშიც მან მეტად საინტერესო და საყურადღებო დებულებები განავითარა. საფუძვლიანად გააკრიტიკა ზოგიერთი „მემარცხენე“ ისტორიკოსი ეროვნული საკითხის გამარტივებული გაგებისათვის, გამოთქვა მოსაზრება ქართველი ფეოდალური ერის არსებობის შესახებ (რაც იმ პერიოდში მიუღებელი იყო ოფიციალური იდეოლოგიისათვის, რადგან ამტკიცებდნენ რომ ერების ფორმირება მხოლოდ კაპიტალისტური განვითარების შედეგი უნდა ყოფილიყო).

ფართო საზოგადოებრივი აღიარება მოუპოვა აკადემიკოს იური კაჭარავას საქართველოს ინტელიგენციის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებების შესწავლისათვის ჩატარებულმა კვლევამ. მან წარმოაჩინა ის როლი და მნიშვნელობა, რასაც ისინი ასრულებდნენ ქვეყნის ეკონომიკასა და კულტურაში.

უდიდესია აკად. იური კაჭარავას დამსახურება „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VII და VIII ტომების მომზადებასა და რედაქტირებაში.

აკადემიკოსი იური კაჭარავა განსაკუთრებული შემოქმედებითი ნაყოფიერებით გამოირჩევა. მას ეკუთვნის 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორის 17 მონოგრაფიაა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აკადემიკოს იური კაჭარავას დამსახურება ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. ათეული წლების მანძილზე ის თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ამზადებდა ისტორიკოსთა ახალ თაობას, ბევრს იღვწოდა ისტორიის სახელმძღვანელოების შესაქმნელად. ი. კაჭარავა იყო ავტორი და თანაავტორი ისეთი პოპულარული სახელმძღვანელოებისა, როგორებიცაა: „საქართველოს ისტორია“(საშუალო სკოლის სახელმძღვანელო), „საქართველოს ისტორია“ (დამხმარე სახელმძღვანელო) და ა.შ.

მისი ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობის შედეგია ისტორიკოსთა ახალი თაობა, რომელიც დღეს მის დაწყებულ საქმეს აგრძელებს და ინტენსიურად სწავლობს საქართველოს XIX-XX საუკუნეების ისტორიის საყურადღებო ფაქტებსა და მოვლენებს. აკად. იური კაჭარავამ აღზარდა ისტორიის მეცნიერებათა 18 დოქტორი და 20-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი.

გამორჩეული მეცნიერი, პედაგოგი, დიდებული მოქალაქე და პიროვნება მაღალი ზნეობრივი კრიტერიუმებითაც გამოირჩეოდა – პრინციპული მეცნიერებაში, უკომპრომისო – საქმეში. ასეთად იცნობდნენ მას საქართველოში და ასეთად დარჩება მარადისობაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

◎ შეტევა ქვეყნის ისტორიაზე

განძეულს რურუა იპარავდა, საპაკაშვილისთვის სრა-სახლში მიჰქონდა

ნელ-ნელა იკვეთება ახალი ფაქტები, რომ „ნაციონალები“ ეროვნულ განძეულობასა და სიწმინდეებს თავიანთი შეხედულებისამებრ განკარგავდნენ.

ვიდრე რურუა კულტურის მინისტრად დაინიშნებოდა, მუზეუმში არსებობდა კატალოგი განთავსებული ნივთების, მათი შემადგენლობის, ღირებულების და ა. შ. შესახებ. მაგრამ ნამხედრიონალმა მინისტრმა ყოველივე ეს მოსპო თავისი ახლობელი დირექტორების ხელით. ამიტომ დღეს სპეციალისტებისთვის, ექსპერტებისთვის ხელმიუწვდომელია მუზეუმებში განთავსებული საგანძურის რაოდენობა, მათი მდგომარეობა. უცნობია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სიძველეების რაობა, ღირებულება.

ექსპერტები განგაშს ტეხენ იმის გამო, რომ სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმის, სახელმწიფო მუზეუმის, ქარვასლის, მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალისა და ეთნოგრაფიული მუზეუმის საცავებიდან დაფიქსირებულია ექსპონატების გასხვისების ფაქტები. სპეციალისტებს არც მათ იდენტურობისა და მდგომარეობის შესახებ აქვთ ინფორმაცია.

რამდენიმე ექსპონატია წაღებული სააკაშვილის ახლადაშენებულ რეზიდენციაში. როდესაც პრეზიდენტი ამას აკეთებდა, რაღას იზამდა მინისტრი რურუა? – კითხულობენ სპეციალისტები. ისინი იმასაც ამბობენ, რომ ქართული ორნამენტების, სიძველეებისა და სიწმინდეების საექსპონატოდ უცხოეთში გატანა საპატრიარქოსა და ხელოვნებათმცოდნეების გვერდის ავლით ხდებოდა.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ თავისი მზაკვრული კვალის დასაფარად მაშინდელმა კულტურის მინისტრმა ისეთი კანონი მიიღო (მიაღებინა მორჩილ პარლამენტს), რომ ჩვენი რომელიმე ექსპონატი საზღვარგარეთის ნებისმიერ მუზეუმებშიც რომ აღმოჩნდეს, საქართველო მას უკან ვეღარ დაიბრუნებს.

გარდა იმისა, რომ ხელისუფლება ქართულ სიძველეებს ასხვისებდა, იტაცებდა ისტორიულ ექსპონატებს, ვანდალურად ექცეოდა. ქანდაკება „ახტალა“, რომელიც კურორტის სიმბოლოდ ითვლებოდა, ჟურნალისტებმა ადგილობრივ ნაგავსაყრელზე იპოვეს. გაძარცვულია ცხვარიჭამიაში „განთიადის“ ქანდაკება, ქობულეთში კი „აიეტის“ – კოლხური ეტლის ქანდაკება.

დარიალში „თერგდალეულთა“ მონუმენტი, აკაკის, ილიას, ვაჟას, ყაზბეგის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობის კომპოზიცია, მაშინდელი კულტურის მინისტრის მითითებით, დაჭრეს და გადაადნეს.

ეს ხდება მაშინ, როდესაც საფრთხე ემუქრებათ ქართულ ტაძრებს, ეკლესიებს, ძეგლებს აფხაზეთში, ოსეთში, თურქეთში, საბერძნეთში, ისრაელში და ა. შ.

ასეთია ერის სიყვარულში დამაშვრალი ნაციონალების მიდგომა ქართული კულტურისადმი.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

დონაძეს და ფირცხალავას ცუდადა აქვთ საქმე

2004 წელს პოლიციელის მიერ მოკლული ამირან(ბუტა) რობაქიძის მამა სოსო რობაქიძე გურამ დონაძისა და ირაკლი ფირცხლავას მიერ გუშინ გავრცელებულ კადრებს სიყალბეს უწოდებს. როგორც რობაქიძემ განაცხადა, კადრებში ნამდვილად „პატრულის„ ყოფილი ჟურნალისტის მუკბანიანის ხმა ისმის, თუმცა დროში ცდომილებაა.

„გასროლიდან 39-ე წამზე მუკბანიანი ვერ მოახერხებდა რაციით შეტყობინების გადაცემას. კადრებში ჩანს მაიზერ ლიპარტელიანი, რომელიც გასროლის დროს შემთხვევის ადგილზე არ იყო. იგი 15-20 წუთის შემდეგ მივიდა, – აცხადებს სოსო რობაქიძე.

მისივე თქმით, დონაძეს და ფირცხალავას ცუდად აქვთ საქმე და ამიტომ ავრცელებენ ცრუ ინფორმაციებს.

რობაქიძემ გამოძიებას კიდევ ერთხელ სთხოვა შსს-ს მაშინდელი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ყოფილი პროკურორის ირაკლი წერეთლისა და გიორგი ღვინიაშვილის დაკითხვა. ის იმედს გამოთქვამს, რომ საქმის გამოძიება მალე დასრულდება და დამნაშავეები დაისჯებიან.

– არ მინდა, ამ მთავრობის დროს საქმე წავიდეს სტრასბურგში, რადგან იმედი მაქვს, რომ სამართლიანობა ჩემს ქვეყანაში აღდგება, – აცხადებს სოსო რობაქიძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა გურამ დონაძემ და დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა ირაკლი ფირცხალავამ ჟურნალისტებს ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ახალი კადრები წარუდგინეს.

დონაძის თქმით, კადრებში ჩანს, რომ გადაცემა „პატრულის“ ყოფილი ჟურნალისტი გოჩა მუკბანიანი შემთხვევის ადგილზეა და მანქანიდან იძახებს სასწრაფოს.

– გასროლიდან 39-ე წამზე, სანამ ბუტა რობაქიძე ცოცხალია, გოჩა მუკბანიანი დგას შემთხვევის ადგილზე, შემდეგ ჯდება მანქანაში და იძახებს პატრულს ტექსტით – „არიან დაკავებულები, დაჭრილები, არის იარაღი, გამოუშვით სასწრაფო, – აცხადებს დონაძე.

მატროსოვის ციხის რეაბილიტაცია დაიწყო

სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა 39 სასჯელაღსრულების დაწესებულების, ე.წ. „მატროსოვის ციხის“ რეაბილიტაცია დაიწყო. სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს ცნობით, აღნიშნული დაწესებულება, რამდენიმე წლის წინათ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების მიუხედავად, არსებულ სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა.

სამინისტროს განცხადებით, შენობაში სუფევდა ანტისანიტარია, მწყობრიდან იყო გამოსული საკანალიზაციო ქსელი, არ მუშაობდა საშხაპეები, მსჯავდებულებს უწევდათ ღირსების შემლახველ პირობებში ცხოვრება.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მიხეილ სააკაშვილი დანებდა

საქართველოს შეიძლება სათავეში ჩაუდგეს საგარეო საქმეთა ექსმინისტრი სალომე ზურაბიშვილი

საქართველოს ახალი პრეზიდენტი გახდება ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. ჩვენთვის ეს ცნობილი გახდა თბილისში საინფორმაციო წყაროებიდან. მოქმედმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წინა დღით განაცხადა იმის შესახებ, რომ მზად არის მის უფლებამოსილებათა შემცირებისთვის, რითაც დათანხმდა იმ პარტიის დამთავრებაზე, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა. მისი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“ დათანხმდა კენჭი უყაროს ცვლილებებს კონსტიტუციაში, რომლებიც ზღუდავენ პრეზიდენტის ფუნქციებს. ერთი პირობით – პარლამენტში ძირითად კენჭისყრას წინ უნდა უსწრებდეს სარეიტინგო კენჭისყრა.

სარეიტინგო, ანუ არაფორმალური კენჭისყრით ხელისუფლების ყოფილ პარტიას – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – სურს უჩვენოს მოსახლეობას, რომ მისი კეთილი ნების გარეშე ამჟამინდელი ხელისუფლება – „ქართული ოცნება“ – ვერ შეძლებდა, შეეტანა კონსტიტუციაში ცვლილებები, რომელიც უკრძალავს პრეზიდენტს, დაითხოვოს მთავრობა პარლამენტის თანხმობის გარეშე. „ქართულმა ოცნებამ“, ამტკიცებენ „ნაციონალები“, ვერ შეძლო ჩამოეყალიბებინა კონსტიტუციური უმრავლესობა (100 მანდატი 150-დან), რაც საშუალებას იძლევა იმოქმედოს სხვა პოლიტიკური პარტიების გაუთვალისწინებლად. დამყოლობით, რამაც მოულოდნელად შეცვალა სიჯიუტე, რითაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იცავდა პრეზიდენტის ამჟამინდელ უფლებებსა და შესაძლებლობებს, ხელისუფლების ყოფილი პარტია ცდილობს, გაიხანგრძლივოს პოლიტიკური ცხოვრება, რეიტინგული კენჭისყრით კი კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი თავის მნიშვნელობას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ექსსპიკერმა დავით ბაქრაძემ ასე აღნიშნა კიდეც: „ჩვენი მხარდაჭერის გარეშე საკონსტიტუციო ცვლილება განწირულია ჩავარდნისთვის – „მეოცნებეებს“ არ აქვთ საკმარისი ასი ხმა. და ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ ამის შესახებ. სარეიტინგო კენჭისყრის შემდეგ ჩვენ მზად ვართ, ძირითად კენჭისყრაში დავუმატოთ საპარლამენტო უმრავლესობას საჭირო 10-20 ხმა“. მეორე მიზეზი იმისა, რომ „ნაციონალებმა“ გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებას, მიდის პოლიტიკური ბრძოლის სიბრტყეში პერსპექტივაზე. როგორც ბაქრაძემ თქვა, „ჩვენ გვსურს წავართვათ მმართველ პარტიას არგუმენტი, რითაც იგი ცდილობს, გაამართლოს უსუსურობა წინასაარჩევნო დაპირებათა შესრულებაში – ამიერიდან „ქართულ ოცნებას“ არ ექნება შესაძლებლობა, ილაპარაკოს იმის შესახებ, რომ მასზე ზემოქმედებას ახდენს პრეზიდენტის მიერ მთავრობის დათხოვნის საფრთხე, და მას არ შეეძლება სრულფასოვნად იმუშაოს“.

ოთხშაბათს თავისი თავის გადარჩენას შეეცადა პრეზიდენტი სააკაშვილიც. „უკანასკნელი თვეების განმავლობაში ოპოზიციაზე ხორციელდებოდა ზემოქმედება: დეპუტატებს აშინებდნენ, აპატიმრებდნენ მათი ოჯახის წევრებს, ჰპირდებოდნენ ბევრ ფულს. დღეს ორ ოპოზიციურ დეპუტატს გამოუცხადეს, რომ მათ წინააღმდეგ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე... და ეს ყველაფერი ასი სადეპუტატო ხმის მიღებისთვის საკონსტიტუციო ცვლილების კენჭისყრაზე. ყველა ვერ უძლებს ზემოქმედებას, და რამდენიმე დეპუტატი გადავიდა საპარლამენტო უმრავლესობის ბანაკში“, – განაცხადა პრეზიდენტმა საკურორტო ქალაქ წყალტუბოში, სადაც ატარებდა თათბირს საპარლამენტო უმცირესობის წევრებთან.

მისი სიტყვებით, მიუხედავად ოპოზიციაზე უპრეცედენტო ზემოქმედებისა, „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო ჩამოეყალიბებინა საკონსტიტუციო უმრავლესობა: „ჩემი მონაცემებით, მათ სულ 93 ხმა აქვთ“. მიუხედავად ამისა, საქართველოს მიმავალმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა, შეენელებინა შინაპოლიტიკური დაძაბულობა და თავის მომხრეებს რეკომენდაცია მისცა, დათანხმდნენ საკონსტიტუციო ცვლილებებზე. „მე, როგორც არაერთგზის მითქვამს, არასოდეს გამოვიყენებდი მთავრობის დათხოვნის უფლებას... კენჭისყრა კი ამ საკონსტიტუციო ცვლილებაზე ჩემთვის უკიდურესად პრინციპულია – იგი გამოავლენს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ „მოუსყიდველ ბირთვს“, რომელთან ერთადაც გავაგრძელებ პოლიტიკურ ბრძოლას“, – განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის და ექსსპიკერის განცხადებების საპირისპიროდ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე თქვა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებასთან დაკავშირებით „ნაციონალებმა“ დაიკავეს არა პოზიცია, არამედ მიიღეს პოზა. „საკითხი წინასწარ არის გადაწყვეტილი – ცნობილია, რომ ცვლილებებს მხარს დაუჭერს 100-ზე მეტი დეპუტატი და თავად „ნაციონალებმაც“ ამის შესახებ შესანიშნავად იციან“, – თქვა საგანელიძემ.

სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებათა პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით ყოფილი ხელისუფლების დანებების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგი, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართება, უკვე განსაზღვრულად წარმოგვიდგენია: არჩევნებს მოიგებს კანდიდატი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნებიდან“. ხოლო თუ საგანს თავის სახელს ვუწოდებთ – ის კანდიდატი, ვისზეც პრემიერი მიუთითებს. დაუფიქრებელი მოქმედებები და არც მთლად ფრთხილი განცხადებები ლამის კარიერად არ დაუჯდა კოალიციის ერთ-ერთ ლიდერს ირაკლი ალასანიას – ივანიშვილმა მას ჩამოართვა ვიცე-პრემიერის პოსტი, თუმცა დატოვა თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე.

თავად პრემიერმა კი გამოთქვა აზრი, რომ საუკეთესო კანდიდატად პრეზიდენტის პოსტზე მას ვახტანგ ხმალაძე მიაჩნია – პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე. ამრიგად, პრეზიდენტობის კანდიდატის საკითხი „ქართული ოცნებიდან“, გადაწყვეტილად გვეჩვენებოდა, მაგრამ ამ დღეებში ივანიშვილმა „გაიხსენა“ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. თუმცა, არასაპრეზიდენტო კონტექსტში, არამედ თქვა, რომ საქართველოს არ აქვს უფლება, დაივიწყოს ასეთი პროფესიონალები და რომ მისი გამოცდილება და ცოდნა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ. „ზურაბიშვილი დაიკავებს ღირსეულ ადგილს კოალიციაში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის მოქალაქე, ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის თანამშრომელი სალომე ზურაბიშვილი, მალე ვარდების რევოლუციიდან, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიწვია საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელად. სწორედ მან მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე რუსეთის ფედერაციის ბაზების გაყვანის პროცესი საქართველოს ტერიტორიიდან. არ არის ნაკლებად მნიშვნელოვანი ისიც, რომ რუსეთის სამხედრო ყოფნის ლიკვიდაცია მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში. ყოველ შემთხვევაში, მოსკოვიდან მისი მისამართით, სხვა ქართველი ჩინოვნიკებისგან განსხვავებით, არ ყოფილა რაიმე საყვედური გამოთქმულა.

თბილისის ზედა ფენებში კი მისი მდგომარეობა შეირყა – ზოგი შურით უყურებდა მას, ზოგი ზურაბიშვილის უწყებაში ყველაფერს დადებითად ვერ ხედავდა, მაგრამ მასთან პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის დაპირისპირებასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა სპიკერს დაუჭირა მხარი. სალომე ზურაბიშვილი გადავიდა ოპოზიციაში, შექმნა პარტია, აქტიურად მონაწილეობდა სააკაშვილის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებში 2008 წლის გაზაფხულზე, ხოლო როდესაც დაინახა ოპოზიციის დამარცხება, დაბრუნდა საფრანგეთში და გარკვეული დროის შემდეგ განაგრძო დიპლომატიური მუშაობა გაეროს სტრუქტურებში, რომლებსაც ჰქონდათ დამოკიდებულება ირანის პრობლემატიკასთან.

თავის მხრივ, ერთ-ერთი ქართული ტელეკომპანიის ეთერში სალომე ზურაბიშვილმა დაადასტურა მოწვევის მიღება საქართველოს მთავრობისგან, „რომელსაც უსათუოდ ენდობა“, თუმცა არ დაუკონკრეტებია, თუ კერძოდ რა შესთავაზეს მას პოსტსაააკაშვილისეულ საქართველოში. „მე არ მინდა ვიჯდე თბილისში უსაქმოდ, მაგრამ ჩამოვალ უმალვე, როდესაც საჭირო ვიქნები“, – განაცხადა მან.

НЕЗАВИСИМАЯ

ევროპარლამენტარების მიმართვა ბიძინა ივანიშვილისადმი

ევროპარლამენტის წევრებმა მიმართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით, რომელშიც აფრთხილებენ მას იმის შესახებ, რომ სიტუაციის გაუარესება დემოკრატიის დარგში გზას უქეტავს მას უფრო მჭიდრო დაახლოებისკენ ევროკავშირთან.

ევროპარლამენტის 23 წევრმა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებს წარმოადგენენ, მიუთითეს საქართველოს დემოკრატიიდან უკან დახევის შემდეგ ნიშნებზე: ზემოქმედება პარლამენტის წევრებსა და ადგილობრივ კანონმდებლებზე, მუდმივი და დეკლარირებული ზემოქმედება სამართლებრივ სისტემაზე, განზრახვაზე შეცვალონ საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი, წამქეზებელი რიტორიკა და ბრბოს, როგორც პოლიტიკური ოპონენტების დათრგუნვის საშუალების გამოყენება.

წერილის ხელმომწერთა შორის არის ლიტვის ყოფილი ხელმძღვანელი, ევროპარლამენტის წევრი ვიტაუტას ლანცბერგისი, ევროპარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი ელმარ ბროკი, ევროპარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და პოლონეთის პრემიერ-მინისტრი ეჟი გუზეკი, სლოვაკიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ კუკანი და სხვები.

როგორც ევროპარლამენტის წევრმა, ევროპული სახალხო პარტიის ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილემ ჰუნარ ჰეკმარკმა, რომელიც პასუხისმგებელია გაფართოებისა და აღმოსავლური პარტნიორობის პოლიტიკისათვის, განაცხადა: „თუ საქართველოს მთავრობას სურს, კვლავაც ისაუბროს ევროპულ პერსპექტივაზე, მნიშვნელოვანია, რომ მან მხედველობაში მიიღოს ჩვენს წერილში გამოთქმული შენიშვნები.

ევროპარლამენტის წევრმა და მისმა სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ქშიშტოფ ლისეკმა ასეთი აზრი გამოთქვა: „მიმძიმს ვუყურო, თუ საქართველო, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი მართავს, როგორ შორდება ევროპული დემოკრატიის სტანდარტებს და თუ ათეული წლის განმავლობაში, რაც ვარდების რევოლუციის შემდეგ გავიდა, მიღწეული შედეგები და პროგრესი როგორ ნადგურდება. ზიანი, რაც მიაყენეს საქართველოს ევროატლანტიკურ მიზნებს, შეიძლება იყოს ხანგრძლივი, და პრემიერ-მინისტრი ეწევა რისკს, დაასაფლაოს თავისი ხალხის ევროპული ოცნება“.

ევროპარლამენტის წევრმა, წერილის ერთ-ერთმა ინიციატორმა ვიტაუტას ლანდსბერგისმა, თავის მხრივ, აღნიშნა: „ჩვენ ვართ საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობის თანმიმდევრული ნგრევის მოწმეები. მეშინია, რომ საქართველოს, როგორც ევროკავშირის პარტნიორის, წინასწარ განზრახული კომპრომიტაციის მიზანი შეიძლება განსაზღვრული იყოს ვინმე სხვისგან, და არა ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ივანიშვილის მიერ. ამავე დროს, ზოგიერთს შეუძლია, იმოქმედოს მის ამბიციებსა და შიშზეც, რაც აისახა კიდეც მის ამასწინანდელ წარუმატებელ ღია წერილში პრეზიდენტ სააკაშვილისადმი“.

GEOPOLITIKA

დედამიწის ზურგზე



კოსმოსურმა ზონდმა „ვოიაჯერმა“ შეაშფოთა დედამიწელები: ეჭვი შეიტანეს, რომ იგი უკვე გავიდა მზის სისტემის საზღვრებს გარეთ

ამერიკის გეოფიზიკური კავშირის წევრებმა გვაცნობეს სტატიაში, რომ 1977 წელს „ნასას“ მიერ გაშვებულმა საპლანეტთაშორისო ზონდმა გადაკვეთა ჰელიოსფეროს საზღვრები და გახდა ისტორიაში პირველი ხელოვნური ობიექტი, რომელმაც დატოვა მზის სისტემა. მაგრამ ამერიკის კოსმოსურ სააგენტოში ეჭვი შეეპარათ ინფორმაციის სისწორეში.

* * *

„ნასამ“ დაუხურა შეშვება თავის ობიექტებზე ყველა ჩინელს აეროპორტში ერთ-ერთი მათგანის დაპატიმრების შემდეგ

ვო ცზიანი წარსულში მუშაობდა „ნასაში“ კონტრაქტით. იგი დააპატიმრეს გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა იმ მომენტში, როდესაც თვითმფრინავში იჯდა და პეკინში აპირებდა გაფრენას. „ნასას“ მონაცემების ბაზაზე დაშვება უკვე აუკრძალეს 281 უცხოელს, რომელთაგან 192 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეა.

* * *

ოკეანის ფსკერიდან ამოიღეს იმ რაკეტის ძრავები, რომელმაც გაიფვანა მთვარეზე ნილ არმსტრონგი



ექსპედიცია მისია „აპოლონ-11“-ის არტეფაქტების ამოღების შესახებ მოაწყო მსოფლიოში უდიდესი ონლაინ-რიტეილერის დამფუძნებელმა და აღმასრულებელმა დირექტორმა ჯეფ ბეზოსმა. 40-ზე მეტი წლის განმავლობაში ოკეანის ფსკერზე ყოფნის შედეგად ძრავას ძლიერი კოროზია გაუჩნდა.

* * *

ფიზიკოს ალექსანდრ პოლიაკოვს მიანიჭეს მსოფლიო მეცნიერებაში უდიდესი პრემია

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში პრინსტონის უნივერსიტეტში მუშაობს, დააჯილდოვეს აღმოჩენებისთვის, რომლებიც მან გააკეთა ველის თეორიასა და ძალების თეორიაში. პრემიის ოდენობა 3 მილიონი დოლარია, რაც პრაქტიკულად სამჯერ მეტია ნობელის პრემიაზე. 67 წლის მეცნიერმა უკვე იცის, როგორ დახარჯოს იგი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჯავახეთი

საბოტაჟიდან სეპარატიზმის საფრთხემდე

„14 მარტი ჯავახეთის ისტორიაში ოქროს ასოებით შევა“, — აცხადებს ახალქალაქის საკრებულოს თამჯდომარე ჰამლეტ მოვსესიანი და სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას ითხოვს.

ახალქალაქის საკრებულომ ფრაქცია „ქართული ოცნება — რესპუბლიკელების“ ინიციატივით, სწორედ 14 მარტის სხდომაზე მიიღო რეზოლუცია სომხური ენის სტატუსის შესახებ, რასაც მხარი საკრებულოს ნაციონალმა დეპუტატებმაც დაუჭირეს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს პარლამენტი ახალქალაქის საკრებულოს მიმართვის შემთხვევაში, უცნობია, თუმცა, ცნობილია, რომ ევროპული ქარტიის განხილვის დროს ჯავახეთში მცხოვრები სომხები პარლამენტარებისგან სომხური ენის სტატუსის განსაზღვრას მოითხოვენ, რასაც რეგიონში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობით განმარტავენ.

ამის საპასუხოდ, ქართველი ექსპერტები აცხადებენ, რომ სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის ხელაღებით მინიჭების საკითხი სეპარატიზმის საფრთხეს შეიცავს და ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ფაქტორიც, რომელიც ყველანაირად წაახალისებს სეპარატიზმს რეგიონში. ამიტომ, ქართულმა მხარემ საკუთარი პოზიცია დასავლელ პარტნიორებს უნდა აუხსნას.

ახალქალაქის საკრებულოს მოთხოვნის მიუხედავად, ამ ეტაპზე სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, თუმცა, სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ საკაშვილმა 1999 წელს თავად აიღო ამის შესახებ ვალდებულება. ამდენად, ქარტიის რატიფიცირება საქართველოს სამომავლოდ მაინც მოუწევს, რადგან ქართული მხარე ევროპულ ქარტიას 1999 წელს შეუერთდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულოვნება საზოგადოებრივი უფლებებისთვის“ სამცხე-ჯავახეთის კოორდინატორი გუჯა ბიჭიკაშვილი ახალქალაქში შექმნილ სიტუაციას ვანო მერაბიშვილისა და მისი „ხელის ბიჭების“ მიზანმიმართულ საბოტაჟს უკავშირებს. მისი ინფორმაციით, ეს ადამიანები, ახალქალაქის დეპუტატთან ერთად, ყოველ შაბათ-კვირას ჩადიან ახალქალაქში და საბოტაჟისთვის ემზადებიან. ამის შესახებ კი მთელმა რეგიონმა იცის.

ამ ბრალდების ადრესატი ვანო მერაბიშვილი ჯავახეთში სეპარატიზმის საფრთხეზე პასუხისმგებლობას ახალ ხელისუფლებას აკისრებს, თანაც მზადყოფნას გამოთქვამს ვიწრო პარტიული ინტერესები გვერდზე გადადოს და მმართველ გუნდთან ერთად ქვეყანაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად ითანამშრომლოს, საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს და კონსულტაციები გაუწიოს.

ამასთან, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის განმარტებით, გამორიცხული არ არის, ჯავახეთში სეპარატისტული მოძრაობა გაძლიერდეს და სიტუაცია დაიძაბოს.

მეტიც, მერაბიშვილი ნაციონალების ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდს იხსენებს და აცხადებს, რომ ნაციონალები ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, ეს საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარიყო. კონკრეტულად, მერაბიშვილის თქმით, დავით რასტაკიანი, რომელიც წინა საკრებულოს წევრი იყო, ამ საკითხის დაყენებას მუდმივად ცდილობდა, ამიტომ, მათ ბოლო არჩევნებზე, სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, ყველაფერი გააკეთეს, რომ რასტაკიანი და მისი მსგავსი რადიკალები საკრებულოში არ მოხვედრილიყვნენ. ასევე, მოახდინეს ჩახალიანის იზოლაციაც, ახლა კი „ქართულ ოცნებაში“ შემავალმა პარტიებმა საკითხის პროვოცირება მოახდინეს.

შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ მერაბიშვილთან თანამშრომლობა და მისი გამოცდილება არაფერში სჭირდება. მინისტრის განმარტებით, ჯავახეთში ვითარება დაძაბული არ არის და ეს აბსოლუტურად გაზვიადებული და უპასუხისმგებლო განცხადებებია.

კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი მიიჩნევს, რომ **კონკრეტულ სახელებსა და გვარებს არ უკავშირდება სეპარატიზმის საფრთხე ჯავახეთში. იგი არც იმას ფიქრობს, რომ თუკი, ახალქალაქის საკრებულოში ვინმეს შეუშვებენ, ან არ შეუშვებენ, ამით რაიმე პრობლემა გადაწყდება. უბრალოდ, კავკასიელებმა ძალიან კარგად იციან, რომ არსებობს პოლიტიკური მიმდინარეობა - სომხური ლობი, რომელიც ყველა პირობას შექმნის, რათა ურთიერთობა დაიძაბოს სომხებსა და ქართველებს შორის.**

თუმცა, ამის მიუხედავად, ზაალ კასრელიშვილი სეპარატიზმის საფრთხეს ვერ ხედავს და მიიჩნევს, რომ ეს განცხადებები მართვადი ქაოსის პროცესში საქართველოს შეყვანის მცდელობას უფრო ჰგავს, ვიდრე სეპარატიზმის გაღვივებას. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სომხურმა ლობმა ძალიან კარგად იცის, თუ აზერბაიჯანთან საომარ მდგომარეობაში მყოფი სომხეთი ქართველებთანაც ომს დაიწყებს, აუცილებლად დამარცხდება. ამიტომ ცდილობს, ასწიოს თავისი საჭიროების ხარისხი, პრობლემები შეუქმნას საქართველოს თუნდაც მარტო იმიტომ, რომ საქართველომ შეწყვიტოს აზერბაიჯანის ღია მხარდაჭერა. მით უმეტეს, ახლა, როცა ალიევსა და პუტინს შორის ურთიერთობები იძაბება.

კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილის თქმით, **საერთო ევროპული პრინციპების მიხედვით, თითოეული სახელმწიფო თავად ადგენს ფორმატს, თუ რა ფორმით მიანიჭებს გარკვეულ უფლებებს კომპაქტურად მცხოვრებ რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს. ამასთან, არ არის აუცილებელი, ამას რეგიონული ენის პროექტი ერქვას, ეს შეიძლება განხორციელდეს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, თანაც, ყოველგვარი სიძნელეების გარეშე. თუმცა ის, რომ ამ პროცესმა ჩაანაცვლოს სახელმწიფო ენა, აბსოლუტურად დაუშვებელია. არ შეიძლება, სახელმწიფო ენის შეზღუდვის ხარჯზე მოხდეს.**

თუმცა გოგი ხუციშვილის აზრით, აქ მაინც **ჩნდება პრობლემა, რადგან ის ხალხი, რომელიც საკმარისად არ ფლობს ქართულ სახელმწიფო ენას, ხომ არ დაკარგავს ქართული ენის შესწავლის მოტივაციას, თუკი ისედაც ყველაფერი ხელმისაწვდომი იქნება სომხურ ენაზე?!**

კონფლიქტოლოგის თქმით, ეს საკითხი ლეგიტიმურია, მაგრამ, ამავე დროს, სახელმწიფო ენის დაუფლების მოტივაცია ადამიანის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგდებით არ უნდა ხდებოდეს. მაგალითად, ადამიანს, რომელიც დოკუმენტს ქართულად ვერ კითხულობს ხანდაზმულობის, ან იმ მიზეზის გამო, რომ თავის დროზე ვერ მიიღო განათლება ქართულ ენაზე, უნდა მიეცეს საშუალება, სომხური ენით ისარგებლოს და ამა თუ იმ ჩინოვნიკმა ვერ მოატყუოს ენის უცოდინრობის გამო, მაგრამ, თუ ამით რეგიონული ენის ისეთ სახეს მივიღებთ, რომ, ვინც ჯავახეთში ჩავა, აუცილებლად სომხურად უნდა ლაპარაკობდეს, რადგან მათ თურმე საკუთარ ენაზე უნდა ვესაუბროთ, ეს დაუშვებელია, რადგან სახელმწიფო ენა ქართულია და საშუალება უნდა იყოს, ქართულ ენაზე ხდებოდეს კომუნიკაცია.

მისი თქმით, **ამ დროებითი მოტივაციის ნაცვლად, სწორედ ადგილობრივი მოსახლეობა უნდა ჩამოგვეყვანა დედაქალაქში და ისინი უნდა გვექცია ქართული ენის მასწავლებლებად. ეს ხალხი ათწლეულების განმავლობაში მოემსახურებოდა ამ საქმეს. თუმცა, ადგილობრივი კადრების მომზადების მიდგომა რატომღაც მხარდაჭერილი არ იყო.**

რაც შეხება თვითონ ენის გამოყენების ფორმას, კონფლიქტოლოგის აზრით, ეს ძალიან ფაქიზი საკითხია. ერთი მხრივ, არსებობს ევროპის წინაშე აღებული ვალდებულებები და მეორე მხრივ, — საქართველოში არსებული სიტუაცია, როდესაც სომხების 90% ცხოვრობს ჯავახეთის რეგიონში. მათი უმრავლესობა არ ფლობს ქართულ ენას და იქ საკომუნიკაციო ენა ისედაც სომხურია. ამიტომ არ უნდა გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რომელიც ამ რეგიონს დანარჩენი საქართველოსგან კიდევ უფრო გააცალკევებს და ინტეგრაციის პროცესს პრობლემას შეუქმნის.

მანანა ნოზაძე

◎ რეიტინგი

შეძლებული, ძდიდარი, უძდიდრესი...

ცხოვრება მართლაც კიბეს ჰგავს, თურმე, — ზოგი ადის, ზოგი ჩადის, ზოგი მდიდრდება, ზოგი ღარიბდება, ზოგი წყალში ისრჩობა, ზოგი უწყლობით ჭკნება... იმ დროს, როცა მსოფლიოში დაახლოებით მილიარდი კაცი (I) შიმშილობს, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მის ზღვართან ახლოსაა, წლიდან წლამდე მდიდართა და ზემდიდართა რიცხვი განუხრელად იზრდება. ამას ცოტა ხნის წინათ ავტორიტეტული ჟურნალის „ფორბსის“ მიერ ტრადიციულად გაზაფხულის დამდეგისას გამოქვეყნებული მსოფლიოს მილიარდერთა სია მოწმობს, რომელშიც შარშანდელთან შედარებით... ორას (II) კაცზე მეტია შეყვანილი.

„ფორბსის“ მიერ 2013 წლის მილიარდერთა სიაში 1426 კაცია შესული, რომელთა მთლიანი ქონება 5,4 ტრილიონ დოლარადაა შეფასებული. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელიც წინაზე 0,8 ტრილიონით მეტია.

ისევე, როგორც შარშან, მილიარდერთა სიის **№ 1 კვლავაც 73 წლის მექსიკელი კარლოს სლიმ ელუა,** რომლის შემოსავალმა კომუნიკაციების სფეროდან შარშან 4 მილიარდი დოლარი შეადგინა და **მისი ოჯახის ქონება საარაკო 73 მილიარდ დოლარამდე** გაზარდა. მეორე ადგილი ეგრეთ წოდებული „ახალი ტალღის“ მილიარდერთა თვალსაჩინო წარმომადგენელს, **57 წლის ამერიკელ ბილ გეიტსს** ეკუთვნის, რომელიც მის მიერვე დაარსებულმა კომპანია „მაიკროსოფტმა“ შარშან 5 მილიარდით გაამდიდრა და **67 მილიარდი დოლარის პატრონი გახადა.** პლანეტის უმდიდრესი ხალხის „საპრიზო“ სამეულის „ჩამკეტი“ კი **57 მილიარდი დოლარით 76 წლის კომპანია „ზარას“ მფლობელი ესპანელი ამანსიო ორტეგაა,** რომელმაც მიღებული მოგებით (19,5 მილიარდი დოლარი!), ლამის პირველი ათეულის წარმომადგენლებს ერთად აღებულებს გადაასწრო, რითაც მან შარშანდელი მეხუთე ადგილიდან „ბრინჯაოს“ მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ვიდრე „უმდიდრესთა ამა ქვეყნისებისა“ პირველი ათეულის დანარჩენ წევრზე ვილაპარაკებთ, ზოგადად ნუსხასთან დაკავშირებით რამდენიმე საგულისხმო მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას. თავდაპირველად იმას აღვნიშნავთ, რომ „ფორბსის“ ექსპერტების მიერ შედგენილი **რეიტინგის 229-ე პოზიციაზეა სიის ერთადერთი ქართველი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი,** რომელიც, სხვათა შორის, შარშანდლამდე (როცა იგი სიით № 153 იყო), რუსეთის ან საფრანგეთის სახელით იხსენიებდნენ. მისი ქონება წლეულს შარშანდელზე 1,1 მილიარდზე ნაკლებად განსაზღვრეს და **5,3 მილიარდ დოლარად შეაფასეს** (აქვე აღვნიშნავთ, რომ მართალია მილიარდერთა სიის წევრობამდე უკრაინაში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენს **ტარიელ ვასაძეს** ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, მაგრამ, ალბათ, საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ იგი ამ ქვეყნის 50 უმდიდრესი კაცის ნუსხაში 48-ე ადგილზეა. ტარიელ ვასაძე უკრაინის მანქანათმშენებელი ქარხნების გამაერთიანებელი კომპანია „უკრავტოს“ მფლობელია, უკრაინის რადას წევრი, **მისი ქონება კი 299 მილიონ დოლარადაა შეფასებული).**

რადგან ლაპარაკი კაპიტალის შემცირებაზე მიდგა, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ მიღებული ზარალის ოდენობით პირველია წლევანდელი **მე-100 ადგილის მფლობელი ბრაზილიელი ეიკე ბატისტა თავისი 10,6 მილიარდი დოლარით,** თუმცა კი შარშან მისი ქონება 30 მილიარდ დოლარს უტოლდებოდა, თავად კი სიის მე-7 ნომერი იყო.

ზოგადად კი მილიარდერთა თითქმის ათასხუთასკაციანი „კორპუსის წევრთა“ შორის **ყველაზე წარმომადენლობითი „დელეგაცია“ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰყავთ (442 კაცი), მათ მერე უმდიდრესთა რიცხოვნობით მეორე ადგილზე არიან აზია-წყნარი აუზის წარმომადგენლები (386 კაცი), ევროპაში ოდნავ ნაკლები, 366 მილიარდერია, ორივე ამერიკაში (ცხადია, აშშ-ს გარდა) — 129 კაცი, ხოლო ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში — 103. მთლიანად კი „ფორბსის“ წლევანდელ 1426-კაციან სიაში 240 ახალგამომცხვარი მილიარდერია თითო-ოროლა „ფულის ტომრით“.**

ჟურნალის ექსპერტებმა ერთგვარი გენდერული მიდგომა გამოიჩინეს მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა დასახელებისას და ყველაზე შეძლებულ ქალბატონთა რეიტინგი ცალკე შეადგინეს. **მათ შორის № 1 „კაცური ნუსხის“ მე-9 ადგილოსანი ლილიან ბეტანკურია თავისი ოჯახიანად.** ამ 90 წელს მიღწეულ ქალბატონსა და მის ნაშიერებს, რომელთა შემოსავლის ძირითადი წყარო საქვეყნოდ ცნობილი კოსმეტიკური ფირმა „ლორეალია“, **30 მილიარდ დოლარად შეფასებული ქონება აქვთ.** მეორე ადგილზეა **კრისტი უოლტონი და მისი ოჯახი (28,2 მილიარდი დოლარი), მესამეზე — ელის უოლტონი (26,3 მილიარდი დოლარი). მილიარდერთა, ასე ვთქვათ, „გენდერულად გაერთიანებულ“ სიაში მთლიანად 138 ქალია, მათ შორის 34 — „ახალბედა“ მილიარდერი.**

„ფორბსის“ „ძირითად“ სიას თუ მივუბრუნდებით და პირველი ათეულის დანარჩენ წევრთა ვინაობას გადავხედავთ, ნუსხის **მე-4 ნომრად ამ ჩამონათვლის ძველი ბინადარი, 82 წლის ამერიკელი უორენ ბაფეტია (53,5 მილიარდი დოლარი), მეხუთეა ასევე ამერიკელი 68 წლის ლარი ელისონი (43 მილიარდი დოლარი), მე-6-მე-7 „ტოპ-ათეულის“ ახალი წევრები, ძმები კოხები — 77 წლის ჩარლზი და 72 წლის დევიდი (შესაბამისად, 34-34 მილიარდი დოლარი), მე-8 — ჰონკონგელი ლი კა-შინგი (31 მილიარდი დოლარი), მე-9 — ზემოთ ნახსენები ხანდაზმული ქალბატონი ლილიან ბეტანკური (საფრანგეთი) და მე-10 — ასევე ფრანგი ბერნარ არნო თავისი ოჯახით (29 მილიარდი დოლარი),** რომელმაც, სხვათა შორის, შარშან არც მეტი, არც ნაკლები, 12 მილიარდი იზარალა, რის გამოც მეოთხე ადგილიდან მეათემდე „ჩამოლაბორანტდა“.

ოთარ ტურაბელიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი

დღე მეორე: „ოქრო“ და „ბრინჯაო“

თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება მოჭიდავეთა 2013 წლის ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 47 ქვეყნის 500-მდე ფალავანი იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის. წარუმატებელი სტარტის შემდეგ მასპინძლებმა — თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ასპარეზობის მეორე დღეს სპორტის სასახლეში მრავლად მოსული ქომაგები გაახარეს. ჩვენმა ბიჭებმა, როგორც გაუწყეთ, თითო „ოქრო“ და „ბრინჯაო“ მოიპოვეს.

სიურპრიზი შემოგვთავაზა 25 წლის თბილისელმა გიორგი ედიშერაშვილმა (55 კგ) -- იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, რასაც, გულახდილად ვიტყვით, მისგან არავინ მოელოდა. გიორგიმ ზედიზედ ჩამოიცილა გზიდან აზერბაიჯანელი იაშარ ალიევი (1:2, 1:0, 2:0), ფრანგი ზოჰირ ელ ოუარაქი (1:0, 1:0), რუსი არტიომ გებეკოვი (1:0, 5:3) და ფინალში ბელარუს ევროპის ორგზის ბრინჯაოს მედალოსან ულადისლაუ ანდრეიეუს დაუპირისპირდა.

ორთაბრძოლა დაძაბული და მომქანცველი გამოდგა. ბელარუსი ფალავანი უფრო გამოცდილია და კარგადაც იყო მომზადებული, თუმცა მან ჩვენებურს ვერაფერი დააკლო — პირველ პერიოდში მხოლოდ ბურთულის წყალობით სძლია. მეორეში მსაჯმა სლავი ფალავანი გააფრთხილა და ქულით დასაჯა, რამაც ედიშერაშვილს წონასწორობის აღდგენის საშუალება მისცა. გამარჯვებულის გამოსავლინებლად დამატებითი დრო გახდა საჭირო. იქ ჯერ ბელარუსმა აიღო ქულა, მაგრამ მასპინძელმა კონტრილეთით ანგარიში გაათანაბრა. ეტყობა, ქართველმა ფალავანმა დროზე ადრე ირწმუნა გამარჯვება (გონგამდე 15 წამი იყო დარჩენილი) და წამიერი მოდუნებით მეტოქეს ფეხებში შესვლის საშუალება მისცა. ანდრეიეუმ წრის გარეთ გაიყვანა ქართველი, მაგრამ ისე, რაზეც მსაჯები ქულას არ იძლევიან. მართალია, სტუმრებმა ეს ეპიზოდი გააპროტესტეს, მაგრამ ეკრანზე მისი ნახვისა და განსჯის შემდეგ ბელარუსი ქულითაც დასაჯეს. ედიშერაშვილი დამსახურებულად გახდა ევროპის ჩემპიონი.



მასპინძლებს ბრინჯაოს მედალი გორელმა ფალავანმა, ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (60) მოუტანა. ის ამ წონის დებიუტანტია, თუმცა, ეტყობა, ადაპტაცია არ გასჭირვებია. სტარტზე მან ესტონელი ალექსეი ბასკაკოვი დაჯაბნა (3:0, 8:0), მერე აზერბაიჯანელ გაჯი ალიევთან მეორე პერიოდი დათმო - 2:6. რადგან პირველში 1:0 გაიმარჯვა, საჭირო გახდა დამატებითი დრო. აქ კი ხინჩეგაშვილი შეუდარებელი იყო — 3:1. ნახევარფინალში რუსთა ორგზის ევროპის ჩემპიონ ოპან სატთან დამარცხდა (0:1, 0:1). ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში კი თურქ მუნირ აქთაშს 3:1 და 6:0 აჯობა.

კვარცხლბეკი

55 კგ. 1. გიორგი ედიშერაშვილი (საქართველო); 2. ულადისლაუ ანდრეიეუ (ბელარუსი); 3. სეზარ აკგული (თურქეთი), იაშარ ალიევი (აზერბაიჯანი).

60 კგ. 1. ოპან სატი (რუსეთი); 2. ვლადიმირ დუბოვი (ბულგარეთი); **3. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (საქართველო),** ტიმ შლაიხერი (გერმანია).

ლექსო ცინცაძე

◎ მოვლენის წინ

ღირსების მატჩი

ბრის სტადიონები, სადაც თამაში ყოველი თაობისათვის საოცნებოა და შეიძლება ისე დაასრულო კარიერა, მსგავსი პატივი არ გელირსოს. საილუსტრაციოდ მხოლოდ „უემბლის“, „მარაკანასა“ და „ნოუ კამპის“ დასახელებაც კმარა.

დაგვეთანხმებით, პარიზის „სტად დე ფრანსიც“ ასეთთა კატეგორიას განეკუთვნება.

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები „მუნდიალ-2014“-ის მორიგ შესარჩევ მატჩს „სამფეროვანთა“ წინააღმდეგ სწორედ საფრანგეთის მთავარ სპორტულ სარბიელზე გამართავს, რაც, ბუნებრივია, თემურ ქეცბაიას გუნდის დიდი დაფასებაა.

შედარებისთვის გაგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ ამავე მეტოქემ არა ქვეყნის დედაქალაქში, არამედ პროვინციულ ოსერში გვიმასპინძლა.

ვიმედოვნებთ, „ჯვაროსნები“ ღირსეულად წარმოაჩენენ საკუთარ შესაძლებლობებს და სეზონს სასურველი შედეგით თუ არა, მრისხანე ოპონენტთან ტოლსწორი გამკლავებით გახსნიან.

მათვე ტრიბუნიდან არა მარტო საფრანგეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლები, არამედ მიუნხენიდან და შტუტგარტიდან ჩასული ასამდე თანამემამულე უქომაგებს. ისინი მეზობელ სახელმწიფოს გერმანიის ქართული სათვისტომოს სპორტის გულშემატკივართა კლუბ „ივერიელის“ ორგანიზებით ეწვივნენ.

დავძენთ, რომ დღევანდელი მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ 24 საათიდან შემოგთავაზებთ.

ბექჟან დოლიძე

◎ ფეხბურთი

პირველი მსხვერპლი

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა, რომელიც ავსტრიაშია შეკრებაზე, პირველ ამხანაგურ შეხვედრაში ალბანელ თანატოლებს 2:0 სძლია. ალექსანდრე ჩივაძის გუნდმა ორივე ტაიმში თითო გოლი გაიტანა: ანგარიში გიორგი ჭანტურიამ გახსნა, ნაკრების დებიუტანტმა გიორგი ქვილითაიამ კი შესვენების შემდეგ გამოიჩინა თავი.

ჩვენმა გუნდმა ალბანელთა წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: გიორგი ნადირაძე, არჩილ ტვილდიანი, დავით კოხია (გიორგი გაგნიძე), მამუკა კობახიძე, ნიკა კვეკვესკირი, გიორგი პაპავა (გიორგი ჯგერენაია), ლაშა პარუნაშვილი (გიორგი ილურიძე), ჯაბა ჯიღაური (მერაბ გიგაური), ვაკო ყაზაიშვილი (დავით კირკიტაძე), გიორგი ჭანტურია (ლაშა ჩაფიძე), დავით სხირტლაძე (გიორგი ქვილითაია).

ხვალ ალექსანდრე ჩივაძის გუნდი აზერბაიჯანის ნაკრებს გაეჯიბრება, 26 მარტს კი — ხორვატ 21-წლამდელებს.

გიორგი შოთაძე

◎ ძიუდო

ევროტატამზე 9 ქართველი გავა

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე 9 სპორტსმენით გამოვა. თუკი ბოლო წლებში ევროპირველობის მონაწილე გუნდებს თითო წონით კატეგორიაში 2 სპორტსმენის გამოყვანა შეეძლოთ, ამჯერად ძიუდოს თავკაცებმა გადაწყვიტეს, მონაწილე ძიუდოისტთა რაოდენობა შეამცირონ.



ნაკრებების მთავარი მწვრთნელები 7 წონითი კატეგორიიდან ხუთში ევროგანაცხადში მხოლოდ თითო შეგირდს შეიყვანენ, ხოლო ორ წონაში — ორ-ორს.

„ევროპის ჩემპიონატზე დასაყენებელი შემადგენლობა ნაწილობრივ გამოკვეთილია, მაგრამ ჯერ დაკონკრეტება ძალიან ადრეა. წინ კიდევ გველოდება მოსამზადებელი შეკრებები და ერთი საერთაშორისო ტურნირი — 30-31 მარტს სამსუნში გასამართ "დიდ პრიზზე" ძირითადად იმ კანდიდატებით დაკომპლექტებულ გუნდს ჩავიყვანთ, ვისაც ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვთ თავიანთი უპირატესობა. ამასთან, თურქულ ტატამზე ისეთი ძიუდოისტებიც გავლენ, სატურნირო გამოცდილება რომ აკლიათ. იმის თქმა კი, რომელ წონაში გამოვიყენებთ ორი ძიუდოისტის დაყენების უფლებას, ჯერ ძნელია“ — განაცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ.

ევროპის ჩემპიონატი 25-28 აპრილს ბუდაპეშტში გაიმართება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

შენგელიას 17-ქულიანი წვლილი

„სპრინგფილდ არმორში“ მორიგი დაბრუნების შემდეგ თორნიკე შენგელიამ ნბა-ს განვითარების ლიგის კლუბის მაისური „ერიე ბეიჰოუქსთან“ მატჩში მოირგო და მასპინძელთა გამარჯვებაში (102:96) სოლიდური წვლილი დაიდო.

ცხადია, ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში იყო და 32 წუთში 17 ქულა, 5 მოხსნა (3 მეტოქის ფარზე), 1 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. თოკომ 13-დან 6 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, ბურთი ერთხელ დაკარგა, ორჯერ დაუფარეს და 3 პერსონალური ფოლი მიიღო.

აღსანიშნავია, რომ „სპრინგფილდმა“ პირველი მეოთხედი 27:15 მოიგო, თუმცა შემდეგ იმდენი „მოახერხა“, რომ სტუმრებს 7 ქულით ჩამორჩა. ბოლო წუთებზე ყოჩაღად კვლავ მასპინძლები გამოიყურებოდნენ და სეზონში მე-17 გამარჯვება იზეიმეს.

არმორელთაგან საუკეთესო ტაიშუან ტეილორი გახლდათ, რომელიც შენგელიას დარად განვითარების ლიგაში „ბრუკლინ ნეთსიდან“ გახლავთ განათხოვრებული. მან 31 წუთში 30 ქულა, 5 მოხსნა, 7 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა.

მიუხედავად წარმატებისა, „სპრინგფილდი“ დ-ლიგის აღმოსავლეთ დივიზიონში ბოლო ადგილზე რჩება, მომდევნო შეხვედრას კი ცენტრალური დივიზიონის ბინადარ "„ოსტინ ტოროსთან“ ჩაატარებს.

და ერთიც. მიმდინარე სეზონში შენგელიას განვითარების ლიგაში უკვე 8 მატჩი აქვს გამართული და მოედანზე საშუალოდ 36 წუთს ატარებს, მისი საშუალო მონაგარი კი 24 ქულა, 8 მოხსნა, 4 პასი. 2 ჩაჭრა და 1 დაფარებაა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ავტოსპორტი

„მაკლარენი“ ძველ მანქანას არ დაუბრუნებს

„მაკლარენმა“ კატეგორიულად უარყო ადრე გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ შესაძლოა ძველი მანქანით ასპარეზობის გადაწყვეტილება მიიღოს. ავსტრალიაში ახალი მანქანა აბსოლუტურად არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა — ჯენსონ ბატონმა მხოლოდ მეცხრე პოზიციის დაკავება შეძლო, სერხიო პერესი კი მე-11 ადგილზე გავიდა.

არადა, გასული სეზონის მიწურულს „მაკლარენის“ MP4-27 საუკეთესო მანქანა იყო პელოტონში. სწორედ ამის გამო გაჩნდა ვარაუდი, რომ უოკინგელები ამ მანქანის მოდიფიცირებულ ვერსიას მოამზადებდნენ. ამაზე მათმა შეფმა მარტინ უიტმარშმაც კი ილაპარაკა. მაგრამ მელბურნის რბოლის შემდგომ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ უკეთესი იქნება, თუ MP4-28-ს განავითარებენ.

ტელემეტრიული მონაცემები უჩვენებს, რომ MP4-28-ს ჩაჭიდება არ აკლია. ეს მთავარი დადებითი მახასიათებელია, მაგრამ მას ძალიან მცირე ეგრეთ წოდებული „საოპერაციო ფანჯარა“ აქვს, რაც ნიშნავს, რომ სხვადასხვა ტრასისადმი მისი მორგება ამ ეტაპზე ძნელია.

„ამ ეტაპზე მანქანაზე ბევრი მუშაობა მოგვიწევს. მის ბევრ კომპონენტს დიდი პოტენციალი აქვს და წინა მანქანასთან შედარებით, მეტი ჩაჭიდებითაც გამოირჩევა. ახლა მთავარია, რომ სწორი ანალიზი ჩავატაროთ, რომ ვიცოდეთ, რა მიმართულებით უნდა განვავითაროთ, რომ სასურველი შედეგი მივიღოთ. ადრეც გვქონია შემთხვევა, როდესაც მანქანა კარგი ჩაჭიდებით გამოირჩეოდა, მაგრამ მისი პოტენციალის ათვისება გაგვჭირვებია“, — ამბობს უიტმარში.

ის დასძენს, რომ პრობლემების ერთი ხელის მოსმით მოგვარება შეუძლებელია, თუმცა MP4-28 აუცილებლად გამოსწორდება.კითხვაზე, „მაკლარენის“ ინჟინრებს აქვთ თუ არა ხელჩასაჭიდი, რომელიც პრობლემების სწრაფად მოგვარებაში დაეხმარება, უიტმარში პასუხობს:

„ასეთი რბოლის შემდეგ ორ დღეში ინჟინრებს გარკვეული პასუხი ვერ ექნებათ. ეს ძალიან ძნელია. მაგრამ ჩვენ ჩვენი გუნდის შესაძლებლობების გვჯერა. მე რომ ვისურვებ, იმდენად სწრაფად ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია. ყველაფერს ვიღონებთ, რომ ბიჭებს ამის გაკეთებაში დავეხმაროთ“.

როსტომ რაჭველიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წათაქებანი

ვადაგასული საკაშვილის მიმართვა საპარლამენტო უმრავლესობისადმი

ვიდრე დასკვნისთვის ცვლილებათა გაგზავნით პაკეტს,
ჯერ შეიცადეთ, მათქმევინეთ ცოტა რამ აქვე:
მე ვენეციის კომისიის წევრებისათვის
გადამირიცხავს დოლარები, თვითონც იციან;
მაგრამ ამაზე არას ვამბობ, მე გთხოვთ მას მხოლოდ,
კონსტიტუციის გამოსაცვლელ პროექტს რომ მისწერთ,
მიწოდეთ იგი, რაც ვარ ახლა: ვადაგასული
და თავგასული პრეზიდენტი, ტახტს ჩაფრენილი,
ენა კბილქვეშ რომ არ ჩერდება და ხშირად მისწრებს...
ბაქიაც რომ ვარ, დემაგოგი და ცრუპენტელა,
კონსტიტუციის ჯერ შემრყვნელი, მერე მომრგები,
დიდ მეზობელთან წაგებული ომის მოგების
აღსანიშნავი ტაფშანდურის გამჩაღებელი,
ჭეშმარიტებად სიცრუისა გამსაღებელი...
სთქვით, სჩვეოდა-თქო ხუშტურები, თუმც არაბრძნული;
შიში ადვილად ვერ სძლევდა-თქო, მაგრამ როცა ყურს
თვითმფრინავის ხმა აღუვსებდა, რუსეთულისა —
მიაღწევდა-თქო უკიდურეს ძირს დაცემამდე...
ეს ყველაფერი უამბეთ და ნურც რას მოუკლებთ
და ნურც ნურარას მოუმატებთ გაბოროტებით.
...მე კი აქ ჩემი ნოტებით და ჩემი კვოტებით,
იქიდან პასუხს თქვენთან ერთად დაველოდები...

ჩაიწერა
თამაზ ილმელმა

◎ ინფორმაცია

ზედმეტი უფლებები უნდა ჩამოერთვას

— სამხედრო პოლიციის რეფორმა მართლაც პირველი იყო, რაც დავიწყეთ. იქ მინი შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო შექმნილი თავისი ოპერატიული რესურსებით, რომელიც არ ჭირდებოდა სამხედრო პოლიციას. ჩვენ უარი ვთქვით ოპერატიულ-ტექნიკური შესაძლებლობების ჩვენს გამგებლობაში ყოფნაზე და ეს საშუალებები გადავეცით შსს-ის სპეციალურ სტრუქტურას. სამხედრო პოლიციის მთავარი ამოცანა არის, უზრუნველყოს წესრიგი და დანაშაულის პრევენცია-პროფილაქტიკა მოახდინოს სამხედრო შეიარაღებულ ძალებში. დანარჩენი ამოცანა სამხედრო პოლიციას არ აქვს. გეტყვით, რომ სამხედრო პოლიციას ასევე ჰქონდა სამხედრო მზადყოფნის შემოწმების ფუნქცია, რაც საერთოდ წარმოუდგენელი და გაუგონარი სისტემა იყო,— განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე.

აღნიშნულის გარდა, თავდაცვის მინისტრმა თანამშრომელთა სარგოებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სახელფასო სისტემა მთლიანად შეიცვალა.

— ჩვენ სარგოს ახალი სისტემა შევიმუშავეთ. სამხედრო მოსამსახურეებს და სამოქალაქო თანამშრომლებს, საერთო ჯამში 89 %-ს მოემატა ხელფასი, 11 %-ს დააკლდა, მათ შორის დააკლდა ბრიგადის ხელმძღვანელებსაც, რომლებსაც ჰქონდათ არაპროპორციულად მაღალი ხელფასები. მე მათთან მქონდა შეხვედრები და ეს აბსოლუტურად ნორმალურად გაიგეს. გეტყვით, რომ ბრიგადის მეთაურს ჰქონდა გენშტაბის მოადგილეზე მეტი ხელფასი. ახლა მოხდა სამართლიანად გადანაწილება სახელფასო ფონდის, — დასძინა თავდაცვის მინისტრმა.

რაც შეეხება ოქრუაშვილის განცხადებას უკანონო მოსმენებზე, ირაკლი ალასანიას განცხადებით, გამოძიება დაადგენს, უსმენდნენ თუ არა სამხედრო უწყების თანამშრომლები ირაკლი ოქრუაშვილს.

ინტერპრესი

მეუღლე რამაზ ყურაშვილი, შვილები ლელა, გივი, ირაკლი ყურაშვილები, შვილიშვილები ქეთევან, ბესიკ თუთბერიძეები, დიმიტრი ყურაშვილი, შვილთაშვილი მათე მეგრელიშვილი, რძალი ლია ლომიძე, სიძეები დავით შავგულიძე, გურამ მეგრელიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ლალი ჯავახიშვილის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 23 III, 15 სთ. ფალიაშვილის ქ. 31.

ა(ა)იპ თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მეცნიერ-თანამშრომლის, ფარმაციის აკადემიური დოქტორის

ეველინა (დოდო) ჯაყელის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ ჩვენი კარაბადინი

კვირის ხუთი შეკითხვა

1. დიეტა — ეს ცხოვრების წესია

გახდომისთვის რამდენი სხვადასხვა სახის დიეტა არსებობს: კეფირის, ვაშლის და ა.შ. ვერ გამირკვევია, რომელ მათგანზე დავჯდე. რომელი მათგანია ყველაზე ეფექტიანი?

გიული თავაძე, სამტრედია

გვიპასუხებს ექიმი-დიეტოლოგი თამარ ბერიძე:

— ნებისმიერი ხანმოკლე დაბალკალორიული დიეტა (1000 კილოკალორიის ქვევით) კარგია მხოლოდ, როგორც კონკრეტული და ასევე დროებითი მიზნის მიღწევისთვის. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ, თუ უნდა გავხდეთ სწრაფად, გარკვეული თარიღისთვის. მაგრამ როგორც კი თავს დაანებებთ ასეთ დიეტას, პირვანდელი წონა კვლავ დაგიბრუნდებათ და ჩვეულებრივად მომატებულიც კი.

ამიტომ დაანებეთ თავი რადიკალურ დიეტურ ექსპერიმენტებს და უბრალოდ გადადით კვების გონივრულ მეთოდზე. გახსოვდეთ, რომ თავად სიტყვა „დიეტა“ არ გულისხმობს ერთჯერად ზომებს, ეს უბრალოდ ცხოვრების განსაკუთრებული წესია. უსაფრთხო დიეტა უნდა იყოს ნორმაკალორიული კვების ფარგლებში. იგი გათვალისწინებულია 1200-1300 კილოკალორიაზე ყოველდღიურად ქალებისთვის, მამაკაცებისთვის, ვისაც სურს გახდომა, საერთო კალორაჟი არ უნდა აჭარბებდეს 1500-1800 კილოკალორიას.

2. მგლის მადა — დიაბეტის ნიშანია

ბოლო ხანებში ვამჩნევ, რომ მგლის მადა გამიჩნდა. და კიდევ დავიწყე საკმაოდ ბევრი წყლის სმა. განსაკუთრებით ღამით. ახლა ღამისთვის ფინჯანს საწოლთანაც კი ვიდგამ. დედა მაშინებს: მეუბნება, რომ მიჩნდება შაქრის დიაბეტი. ეს მართალია?

ევგენია სილაგაძე, ამბროლაური

გვიპასუხებს ექიმი-ენდოკრინოლოგი თამაზ იაშვილი:

— ისეთი ნიშნები, როგორებიცაა სიმშრალე პირში, გაზრდილი მადა და გაძლიერებული წყურვილი, შეიძლება არსებობდეს შაქრის დიაბეტის დროს. ამას გარდა, ამ დაავადების ხშირი სიმპტომია ქავილი შორისის მიდამოებში, კანის ანთებითი და ჩირქოვანი (მაგალითად, ფურუნკულოზი) დაავადებანი. ამიტომ გირჩევნიათ, გაიაროთ ტესტი გლუკოზისადმი ტოლერანტობაზე. ის გვეხმარება გამოვავლინოთ არა მხოლოდ დაავადება, არამედ მისდამი მიდრეკილებაც კი. გამოკვლევას ასე აწარმოებენ: პაციენტისგან იღებენ სისხლს თითიდან (ანალიზი უზმოზე კეთდება) და განსაზღვრავენ გლუკოზის კონცენტრაციას სისხლში. 5 წუთის შემდეგ ადამიანი სვამს ერთ ჭიქა თბილ წყალს, რომელშიც გახსნილია 75 გრამი გლუკოზა. 1-2 საათის შემდეგ კვლავ ზომავენ გლუკოზის კონცენტრაციას სისხლში. ანალიზის შედეგების მიხედვით საუბრობენ დაავადების არსებობის ან მისი მაღალი რისკის შესახებ. მაგრამ ანალიზები წესრიგშიც რომ იყოს, ეძებეთ თქვენი გაზრდილი მადის მიზეზი. ასე ხომ შეიძლება გაჩნდეს ბევრი დაავადება, დაწყებული დეპრესიიდან და დამთავრებული დარღვევებით ფარისებრი ჯირკვლის მუშაობაში.

3. თავის დაზღვევა მომავალი დედებისთვის

წინა ორსულობის დროს ძალიან მისივდებოდა და სისხლიც მდიოდა ღრძილებიდან, განსაკუთრებით მშობიარობის წინა პერიოდში. რასთან შეიძლებოდა ეს ყოფილიყო დაკავშირებული და რა უნდა გავაკეთო, რომ ახლა, როდესაც კვლავ ველოდები ბავშვს, ასეთი რამ აღარ განმეორდეს?

ინა სიხარულიძე, ბორჯომი

გვიპასუხებს ექიმი-სტომატოლოგი გივი სამსონაძე:

— მომავალი დედების გავრცელებული პრობლემა კბილებთან დაკავშირებით — ესაა ღრძილების ანთება, ანუ გინგივიტი. ფეხმძიმობა იწვევს ამ დაავადების პროვოცირებას, ამიტომ ღრძილების შესიება და სისხლდენა გვხვდება ბევრ ქალთან ფეხმძიმობის დროს. გინგივიტის საწყისი ნიშნები შეიძლება გაჩნდეს ფეხმძიმობის უკვე პირველ მე-3-4 თვეში, შემდეგ კი ასეთი მოვლენები მწვავდება (განსაკუთრებით ხშირად ხდება ღრძილებიდან სისხლდენა). თუ დროზე არ დავიწყეთ პროფილაქტიკა და ამ მდგომარეობის მკურნალობა, გინგივიტი გადავა ქრონიკულ ფორმაში, აქ კი პარადონტიტი შორს აღარაა.

მომავალი დედისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პირის ღრუს ჰიგიენას. კბილები უნდა ვიწმინდოთ სულ ცოტა ორჯერ დღეში, გამოვიყენოთ ჯაგრისები — ნორმალური ან სუსტი ჯაგრებით. საკვების მიღების პერიოდებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს კბილის ელექსირებისა და ფლოსების, აგრეთვე სპეციალური ხელსაწყოების — ირიგატორების გამოყენებას, რომლებიც გვისუფთავებენ კბილებს წყლის ნაკადების დახმარებით. ელექტრული ჯაგრისები უმჯობესია არ გამოვიყენოთ, ვინაიდან მათ შეიძლება ტრავმა მიაყენონ ღრძილებს. არსებული პრობლემების მიხედვით ექიმმა შეიძლება გვირჩიოს გამოვიყენოთ სპეციალური კბილის პასტები, აგრეთვე გვასწავლის იგი ღრძილების მასაჟის ტექნიკას.

გინგივიტისა და პარადონტიტის თავიდან ასაცილებლად სასარგებლოა ჩავიტაროთ კბილების პროფესიული წმენდის რამდენიმე სეანსი. ოპტიმალურია გავაკეთოთ იგი ოთხჯერ (ფეხმძიმობის 6-8 კვირაში, 16-18 კირაში, 26-28 კვირაში და 26-38 კვირაში). ეს პროცედურა ხელს უწყობს კბილის ნადების ჩამოყალიბების შემცირებას და იცავს ღრძილებს გაღიზიანებისგან. პროფესიულ წმენდას აწარმოებენ ულტრაბგერების დახმარებით, ან უვნებელი გამათეთრებელი პასტების გამოყენებით.

4. სახიფათო გენები — გამოკვლევის საბაბი

ჩემ ბებიას და ბაბუას, აგრეთვე დედაჩემს აქვთ კუჭის კიბო. თანაც ყველა მათგანს ეს დაავადება აღმოაჩნდა დაახლოებით 60 წლის ასაკში. ალბათობის რა წილით შემეყრება მეც ეს დაავადება? გადაეცემა თუ არა მემკვიდრეობით ასაკი, რომელშიც უვითარდებათ კიბო?

ირა გულისაშვილი, თიანეთი

გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ქირურგი-გასტროენტეროლოგი ნიკა თავართქილაძე:

— კუჭის კიბო გენეტიკური დაავადებაა, ამიტომ ნათესავებში ამ დაავადების გამოჩენისა და განვითარების ალბათობა მართლაც არსებობს. რისკის ხარისხის განსაზღვრა რთულია, მაგრამ გასაგებია, რომ კუჭის გამოკვლევის გავლა თქვენ გჭირდებათ უფრო ხშირად, ვიდრე სხვა ადამიანებს, ვისაც არ აქვთ ასეთი მემკვიდრეობითობა. იაპონიაში, მაგალითად, სადაც კუჭის კიბოს დაავადება ყველაზე მაღალია მსოფლიოში, გასტროსკოპიას ატარებენ სულ ცოტა ერთხელ წელიწადში. ყველაზე ხშირად ეს დაავადება უვლინდებათ 40-დან 70 წლამდე ადამიანებს. უფრო ადრეულ და უფრო გვიან ასაკში დაავადების გავრცელების სიხშირე მკვეთრად მცირდება.

5. ნუ დაველოდებით ანგინას

ყოველწლიურად ვიტანჯები ანგინისგან. ექიმი პოლიკლინიკაში მირჩევს ამოვიკვეთო გლანდები. მე კი ეჭვი მეპარება. ამბობენ, რომ მოზრდილებს ნუშისებრი ჯირკვლები თავისთავად თანდათან უმცირდებათ. ეს ასეა?

თამრიკო ტ. გორი

გვიპასუხებს ექიმი-ოტოლარინგოლოგი თამარ გიორგაძე:

— მოზრდილებისთვის ანთებით დაავადებული შეშუპებული ნუშისებრი ჯირკვლები — მართლაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ასაკთან ერთად, როდესაც ორგანიზმში იმუნური პროცესები თანდათანობით ნელდება, ხდება ლიმფოიდური ქსოვილების ატროფირება და ფუნქციაშესრულებული ნუშისებრი ჯირკვლები მოცულობაში მცირდება. აი რატომაა, რომ ხანდაზმულ ასაკში გუშინდელ ქრონიკულად დაავადებულებს გაქრობას უწყებს ბრონქული ასთმა, ანუ ალერგიული რინიტის სიმპტომები.

და მაინც ავადმყოფთა საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს ყოფილი პრობლემები არ ტოვებს. მათ აწუხებთ მუდმივი ანგინა, სხვებს — ჰაიმორიტი. ასეთ შემთხვევაში ორი აზრი არ არსებობს: ანთებითიანი, შეშუპებული ნუშისებრი ჯირკვლები უნდა მოვიშოროთ თავიდან.

ოპერაციისთვის სხვა მაჩვენებლებია: კონსერვატიული მკურნალობის არაეფექტიანობა ქრონიკული ტონზილიტის (გულის, სისხლძარღვთა, რევმატული დაავადებანი, თირკმელების დაზიანება და ა.შ.) ტოქსიკურ-ალერგიული გართულებების არსებობის დროს, პარატონზილური აბსცესები.

სურნელება მეხსიერების დაკარგვისგან?

ნარცისები, ლავანდა, ზაფრანა, კროკუსი და თეთრყვავილა დადებით გავლენას ახდენენ თავის ტვინის საქმიანობაზე, ამტკიცებენ ჩინელი მეცნიერები. მაგალითად, თეთრყვავილა აუმჯობესებს ტვინის საქმიანობას ალცჰეიმერის დაავადების დროს. ეს ყვავილი შეიცავს გალანტამინს, რისი წყალობითაც ინფორმაცია ნეირონებისგან გადაიცემა უფრო აქტიურად, რაც, თავის მხრივ, დადებით გავლენას ახდენს ავადმყოფობის გონებრივ ფუნქციაზე. ნარცისებშიც აღმოჩნდა გალანტამინი, და ახლა მეცნერები განიხილავენ ამ ორი მცენარის გამოყენების შესაძლებლობას დემენციის მკურნალობის დროს.

სიდნეის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კი აღნიშნეს ზაფრანას დადებითი გავლენა არა მხოლოდ ალცჰეიმერის დაავადებით დაავადებულ პაციენტებზე, არამედ მზერის ორგანოების უჯრედების ელასტიურობაზეც.

ნერვულ დაავადებათა პროფესორის ვლადიმირ ზახაროვის კომენტარი:

— გალანტამინი — ეს არის ნივთიერება, რომელსაც მართლაც იყენებენ გონებასუსტობის მკურნალობის დროს. მასზე დაფუძნებული პრეპარატების ეფექტიანობა დიდი ხანია დადასტურებულია. თუმცა, იმოქმედებს თუ არა გალატამინი ასე, თუ მას ყვავილების სურნელთან ერთად შევისუნთქავთ, ჯერჯერობით უცნობია.

და კიდევ, ეს ნივთიერება გვეხმარება უკვე განვითარებადი დემენციების დროს, თუმცა, არ გაჩნია პროფილაქტიკური თვისებები, ასე რომ, ალცჰეიმერის დაავადების განვითარებისგან ის არ გვიცავს.

გამოკითხვა

ეწევით ბავშვებთან?

46 პროცენტი — საერთოდ არ ვეწევი

20 პროცენტი — ვცდილობ შენობაში ეს არ გავაკეთო, მხოლოდ ქუჩაში.

16 პროცენტი — არა, არასოდეს.

10,5 პროცენტი — დიახ, ყოველთვის ვეწევი

7,5 პროცენტი — ვეწევი, თუმცა არა სახლში, არამედ საზოგადოებრივ ადგილებში: სადარბაზოში, მატარებლის ტამბურში, კაფეში, გაჩერებაზე...

სულ გამოკითხვაში 828 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ისტორიის ფურცლები

გარდაცვლილ კაცთან წაგებული ბრძოლა

მიხეილ დოკუჩაევი — სუკ-ის ერთ-ერთ გამორჩეულ გენერალთაგანია, ვინც საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის უსაფრთხოებაზე იყო პასუხისმგებელი და საბჭოურ სპეცსამსახურებში მოღალატეების გამოვლენასა და გაუვნებელყოფის საგანგებო განყოფილებას ხელმძღვანელობდა. გენერლის სამუშაო, ცხადია, მარტო სსრ კავშირისა და შემდგომ რუსეთის ტერიტორიით არ შემოიფარგლებოდა. ამდენად, მისი მოგონებები განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ისტორიულ მასალას წარმოადგენს. მათგან ერთი ნაწყვეტი იოსებ სტალინისადმი



ნიკიტა ხრუშჩოვის უდიდესი ბოღმის მიზეზს ეხება.

— ნიკიტა ხრუშჩოვის შვილიშვილმა იურიმ, სასამართლოში მიჩივლა იმის გამო, თითქოს ჩემს გამოკვლევაში „მოღალატე თუ გმირი?“ მამამის ლეონიდესა და პაპამისს ცილი დავწამე, — ამბობს გენერალ დოკუჩაევთან ინტერვიუს ავტორი ნიკოლაი დობრიუხა. — ამის საბაბი ჩემს მიერ მოყვანილი მონაცემები გახდა, რომ ნიკიტა ხრუშჩოვის უფროსი ვაჟიშვილი ლეონიდე კაცის მკვლელობაში იყო დამნაშავე და, მას შემდეგ, რაც ომის დროს მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, თავად კი ტყვედ აიყვანეს, გერმანელებთან თანამშრომლობდა. ამის გამო, არაერთი მაღალი თანამდებობის პირის მტკიცებით, იგი გაასამართლეს და დახვრიტეს.

ჩემს პუბლიკაციაში მოსკოვის პროკურატურამ ხრუშჩოვების მიმართ დანაშაულებრივი მოტივაცია ვერ ნახა, რის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარი ეთქვათ, ახლა კი შევიტყვე, რომ ამ ამბის თაობაზე თქვენ გარკვეული ინფორმაცია გქონიათ...

— საქმის არსი ის გახლავთ, რომ სანამ სტალინი ცოცხალი იყო, გარეგნულად ხრუშჩოვს თავი ლოიალურად ეჭირა, ცდილობდა მასთან სიახლოვეს ყოფილიყო. თუმცა, გულში თავისი ვაჟიშვილის ლეონიდეს სიკვდილს ვერ პატიობდა, რომელიც სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით დახვრიტეს, — ამბობს გენერალი დოკუჩაევი. — საქმე კი ასე იყო: ერთხელ ომის დროს სტალინს ფრონტიდან ხრუშჩოვმა დაურეკა და დაბეჯითებით ითხოვა მიღება. მანამდე კი სტალინს აცნობეს, რომ ხრუშჩოვის შვილმა ლეონიდემ, სამხედრო მფრინავმა, უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა — სამშობლოს უღალატა, რისთვისაც სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა ეკუთვნის.

შეხვედრა კრემლში სტალინის სამუშაო კაბინეტში შედგა. მხედართმთავრის პირადმა მდივანმა, გენერალმა პოსკრებიშევმა მოახსენა, რომ ხრუშჩოვი მისაღებში ელოდებოდა.

პოსკრებიშევი კაბინეტიდან რომ გავიდა, ხრუშჩოვმა სტალინს თხოვნა მოახსენა. რომ ლაპარაკობდა, იგი ატირდა — მართილია, მისი ვაჟიშვილი დამნაშავეა და მკაცრადაც უნდა დაისაჯოს, ოღონდ არ დახვრიტონ...

სტალინმა მოუსმინა და მიუგო: — შექმნილ მდგომარეობაში ვერაფრით დაგეხმარებიო.

ხრუშჩოვმა მუხლებზე დაიჩოქა და ასე ხოხვა-ხოხვით და ხვეწნა-მუდარით სტალინისკენ წავიდა, რომელიც მოულოდნელობისგან, ცოტა არ იყოს, დაიბნა. სახელმწიფოს პირველი პირი უკან-უკან იხევდა, აცრემლებული ხრუშჩოვი კი ხოხვით მისკენ მიიწევდა და შვილის შეწყალებას ევედრებოდა. სტალინმა ხრუშჩოვს ფეხზე წამოდგომა და თავის ხელში აყვანა სთხოვა, მაგრამ ის შეურაცხადი იყო. ამიტომ სტალინმა პოსკრებიშევი და დაცვა გამოიძახა, რომელიც კაბინეტში შეცვივდა და ამ გულისამრევი სანახაობის მომსწრე გახდა.

სტალინმა დაცვას ხრუშჩოვის გვერდით ოთახში გაყვანა, ექიმების გამოძახება, მისი გონზე მოყვანა და ბინაზე მიყვანა დაავალა. ვიდრე ხრუშჩოვს ექიმები უვლიდნენ, იგი სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „დაინდეთ ჩემი ბიჭი, ნუ დახვრიტავთ!“

ამის გამო იყო, რომ კრემლის თანამშრომლებში მითქმა-მოთქმა დაიწყო ხრუშჩოვების ოჯახში დატრიალებული ტრაგედიისა და შვილის შეწყალებაზე სტალინის უარის თაობაზე. ამ ამბავს ახლაც ხშირად იხსენებენ უშიშროების ორგანოთა თანამშრომლები, როცა ლაპარაკი ამ ორი კაცის ურთიერთობას ეხება. კერძოდ, კი იმას ამბობენ, რომ სწორედ ესაა ხრუშჩოვის სტალინის მიმართ უდიდესი სიძულვილის მიზეზი, რასაც პიროვნების კულტთან დაკავშირებული ცნობილი ამბები მოჰყვა. ამასთან, ხრუშჩოვის ერთ დაუფიქრებელ გამონათქვამს იმოწმებენ, რომელიც მას უახლოეს გარემოცვაში წამოსცდენია: **„თავის დროზე ლენინმა მეფის ოჯახზე ძმის გამო შური იძია, მე კი სამაგიეროს სტალინს შვილის გულისთვის გადავუხდი“.** ხრუშჩოვმა სტალინს სიკვდილამდე არ აპატია ის დამამცირებელი მდგომარეობა, რომელშიც იგი მისი წყალობით ყველას თანდასწრებით აღმოჩნდა.

თავისი სიტყვა ნიკიტა ხრუშჩოვმა შეასრულა, მაგრამ ცხოვრება ვერაგული რამაა და, თავის მხრივ, სამარცხვინო ბოლოს ვერც თავად გადაურჩა. უინსტონ ჩერჩილის თქმით, **„ხრუშჩოვმა ბრძოლა გარდაცვლილ კაცთან დაიწყო და ამ ბრძოლიდან დამარცხებული გამოვიდა“.**

თამარ გოგიაშვილი

◎ ანეკდოტები

— ძვირფასო, მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ორი ნამდვილი მამაკაცი მყავდა, — ეუბნება ცოლი ქმარს.

— მეორე ვინ იყო?

— შენ პირველსაც არ იცნობ.

* * *

— დაშა, იქნებ გაგერეცხა ქლიავი?

— მეზარება.

— ჰოო? მერე დიზენტერიით ავადმყოფობა არ დაგეზარება?

— კარგი რა! მე მიწინასწარმეტყველეს, რომ მოხუცებულობით მოვკვდები.

— ჰო, უნიტაზზე მჯდომი.

* * *

წაგების შემდეგ მწვრთნელი მოთამაშეებს ეუბნება:

— მე გთხოვეთ, გეთამაშათ ისე, როგორც არასდროს, და არა, ისე, თითქოს არასოდეს არ გეთამაშოთ.

* * *

არსებობს ქალების მართვის ორი საშუალება, მაგრამ ისინი არავინ არ იცის.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთილი ვარსებებთან

გაფიცვების მესამე ტალღა ისევ ზვირთდება

საქართველოში საპროტესტო აქციების ახალი ტალღაა მოსალოდნელი. სოციალური უკმაყოფილების ამ ფორმას მრეწველების სფეროში დასაქმებულები შრომითი პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით მიმართავენ და მთავრობისგან შრომის კოდექსის დაჩქარებულად მიღებას მოითხოვენ.

რეგიონებში გაფიცულების პირველსა და მეორე ტალღას არ გადაუვლია, რომ უკვე მესამე დაიწყო. ტყიბულელ მაღაროელთა პროტესტს უკვე ფოთის პორტის უკმაყოფილო მუშებიც შეუერთდნენ. მათ გადაწყვეტილი აქვთ, 22 მარტს სამსაათიანი გამაფრთხილებელი აქცია მოაწყონ და უკიდურეს შემთხვევაში, უვადო გაფიცვებსაც გეგმავენ.

„რეზონანსი“

„20 აპრილიდან საპაკაშვილი სახიფათო გახდება“

— ფიქრობს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, — ვადის ამოწურვის შემდეგ კი არა, საპაკაშვილი კიდევ აქტუალობას ინარჩუნებს. აი, ამ ათდღიანი შუალედით, 20 აპრილიდან 30 აპრილამდე, როცა მას შეუძლია ჩიხში შემოაბრუნოს წაღმიდან უკუღმა და დაითხოვოს პარლამენტი. როცა ეს ათდღიანი შუალედი გავა, საპაკაშვილის აქტუალობა ყოველნაირად იკარგება. რეალურად საპაკაშვილი უკვე ფორმალურად არის წარსულის პოლიტიკოსი. სავარაუდოდ, ნაციონალების დაშლის პროცესი გაგრძელდება და ეს გამოიკვეთება აპრილის ბოლოდან.

„ახალი თაობა“

რომელი დასახელების კარაქში აღმოჩნდა ნაწლავის ბაქტერია?

მომხმარებელთა ფედერაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ 3 სახეობის კარაქი — „რჩეული“, „ბახმარო“, და „გლეხური“ უვნებლობისა და ხარისხის პარამეტრებს ვერ აკმაყოფილებს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რუსთავში ნაწარმოები კარაქი „რჩეული“, კოლიფარმებით დაბინძურებულია, მასში ნაწლავის ჯგუფის ბაქტერია აღმოჩნდა. მიკრობები აღმოჩნდა კარაქ „ბახმაროშიც“, კარაქი „გლეხური“ კი ხარისხის პარამეტრებს ვერ აკმაყოფილებს. როგორც მომხმარებელთა ფედერაციის ხელმძღვანელი მადონა კოიძე ამბობს, არსებობს დაბინძურების ორი ვარიანტი: დაბინძურდა ან საწარმოში, ან არასწორი შენახვის გამო. აქ ხშირ შემთხვევაში რეალიზატორია დამნაშავე, როცა მაცივარს რთავენ. ეს ხდება მარკეტებში და ტემპერატურის ცვლილება იწვევს დაბინძურებას.

„ალია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ფოტოფაქტი



ამერიკელ ბიოლოგ რობინსონ ოროზკოს ხელში 181-კილოგრამიანი დედალი სვია უჭირავს. მან უკვე მიაღწია სასქესო სიმწიფეს, და სპეციალისტებს გადაჰყავთ თევზი აკვარიუმში მამალ თევზებთან, რათა მიიღონ მემკვიდრეობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ არც ამ სვიის შვილები იქნებიან გამხდრები.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com